



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეოთხე სემესტრის სტუდენტი
ქეთევან ქავთარაძე

სამაგისტრო ნაშრომი

თაღლითობის გამიჯვნა გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის
სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან

ხელმძღვანელები:

ასისტ. დემეტრე ეგნატაშვილი, ასისტ. გიორგი ჩაკვეტაძე

თბილისი
2019 წელი

სარჩევი

| | |
|---|----|
| აბსტრაქტი..... | 3 |
| შესავალი..... | 4 |
| 1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი სახეები | 5 |
| 1.2 სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა | 6 |
| 1.3 სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ურთიერთმიმართება | 8 |
| 2. საცილოდ ბათილი გარიგებები..... | 12 |
| 2.1 შეცდომით დადებული გარიგებანი..... | 13 |
| 2.2 იძულებით დადებული გარიგებანი..... | 16 |
| 2.3 მოტყუებით დადებული გარიგებანი..... | 18 |
| 3. თაღლითობის განსხვავება მოტყუებით დადებული გარიგებისგან..... | 20 |
| 4. სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა პრაქტიკულ მაგალითებზე..... | 22 |
| 5. თაღლითობის განსხვავება შეცდომით დადებული გარიგებისგან..... | 25 |
| 6. თაღლითობის ცნება, არსი, მნიშვნელობა | 26 |
| 7. თაღლითობის ტრანსნაციონალური ხასიათი..... | 28 |
| 8. ფინანსური პირამიდა. | 28 |
| 9. საქართველოსა და გერმანიაში ყველაზე გავრცელებული თაღლითობის შემთხვევები. კომპიუტერული თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის § 263a)..... | 38 |
| დასკვნა..... | 41 |
| ბიბლიოგრაფია | 43 |

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარი იქნება თაღლითობის მნიშვნელობაზე, მის პრაქტიკულ მაგალითებსა და კვალიფიკაციის პრაქტიკულ პრობლემებზე. ასევე შევეხები თაღლითობის ცნების მსგავსებას სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევასთან. განმარტებული იქნება მსგავსება და განსხვავება სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძვლებზე.

თანამედროვე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ხშირად ხდება საპოლიციო ორგანოების განხილვის საგანი. წინამდებარე თემაში საუბარი იქნება სწორედ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგებზე, შეუსრულებლობის შედეგებზე, სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის მიდგომაზე მსგავსი საკითხების რეგულირების მიზნით, ასევე განვიხილავთ სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოლეგიების განსხვავებულ მიდგომას, ქმედების კვალიფიკაციის სტანდარტებს სასარჩელო მოთხოვნისა თუ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში.

თემის ფარგლებში განვიხილავთ თაღლითობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, თაღლითობაში მოტყუების არსის, როგორც კვალიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, მნიშვნელობას. თემის გარკვეული ნაწილი დაეთმობა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში მოტყუების მნიშვნელობის განმარტებას. სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით დამდგარი შედეგების ურთიერთშედარება მოხდება მაგალითების ფონზე.

შესავალი

თანამედროვე სამართლებრივ სფეროში თაღლითობით და გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია.

იურისტებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ იურისპრუდენციაში იშვიათად ხდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხების თანხვედრა ისე რომ შეუძლებელი ან რთული იყოს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულად დანახვას ისახავს მიზნად. პრაქტიკაში ხშირად ხდება სწორედ სამოქალაქო სამართლებრივი საკითხის, ამ შემთხვევაში კი - გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი შედეგის თაღლითობად დაკვალიფიცირება, რაც ბუნებრივია უხეშად არღვევს ადამიანის უფლებას - ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

ნაშრომში ასევე ვისაუბრებთ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით დაცული უფლებების არსზე, მნიშვნელობასა და ამ უფლებების პრაქტიკულ გამოყენებაზე როგორც საგამოძებო ორგანოებში, ასევე სასამართლოში.

ასევე განვიხილავთ შეცდომით დადებული გარიგებების, მოტყუებით დადებული გარიგებებისა და იძულებით დადებული გარიგებების სამართლებრივ ბუნებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას, აღნიშნული გარიგებების ფარგლებში დამდგარი პასუხისმგებლობის სახეებს.

სისხლის სამართლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის დისპოზიცია საუბრობს სხვისი ნივთის დაუფლებაზე ან ქონებრივი უფლების მიღებაზე მოტყუებით. თაღლითობა მიმართულია იმისკენ, რომ დაზარალებულს მიაღვს ქონებრივი ზიანი. აღნიშნული მუხლის დისპოზიციის მიხედვით, თაღლითობა წარმოადგენს სხვისი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ან ქონებრივი უფლების მიღებას, ჩადენილს მოტყუებით. სწორედ მოტყუება არის თაღლითობის, როგორც დანაშაულის მთავარი ნიშანი. მოტყუება არის თაღლითობის, როგორც დანაშაულის, ხერხი. ადამიანი, რომელიც გახდება თაღლითობის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევებში თავად გადასცემს დამნაშავეს საკუთარ ქონებას ან ქონებაზე უფლებას ნებაყოფლობით, რადგან მას მიაწოდეს ისეთი ინფორმაცია, რამაც ის შეცდომაში შეიყვანა.

სამოქალაქო ურთიერთობებშიც მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში მთავარი ასევე ტყუილია, რომლის გარეშეც გარიგება არ დაიდებოდა მხარეთა შორის. სამოქალაქო კოდექსის განმარტების თანახმად სწორედ ეს ტყუილი ასრულებს მთავარ როლს გარიგებიდან ერთ-ერთი მხარის მიერ სარგებლის მიღებაში.

ხშირ შემთხვევაში გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას აიგივებენ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთან - თაღლითობასთან, ვინაიდან პრაქტიკაში იურისტებს უჭირთ მოტყუების შედეგად წინასწარგანზრახულად სარგებლის მიღების სურვილის გამიჯვნა წინასწარი განზრახვის გარეშე სხვისთვის ქონებრივი დაზიანების მიყენებისაგან. სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნასთან დაკავშირებით განვიხილავთ წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე პრაქტიკულ პრობლემას. ასევე ვისაუბრებთ ამ პრობლემებისგან თავის არიდებისა და მკითხველს შევთავაზებთ გამოსავლის რამდენიმე ვერსიას.

საერთო ჯამში ნაშრომი შეიცავს რამდენიმე სიახლეს და რეკომენდაციას, რაც ხელს შეუწყობს კანონმდებლობის სრულყოფის გზით, ადამიანების უფლებების უკეთ დაცვის გარანტიების შექმნას. ნაშრომში მითითებული რეკომენდაციები, სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, გაუადვილებს იურისტებს სამოქალაქოსამართლებრივი საკითხის სისხლისსამართლებრივი საკითხის ურთიერთგამიჯვნას. მოქალაქეები უფრო მარტივად შეძლებენ სასამართლოსთან ურთიერთობას, ასევე თავისი უფლებების დაცვას უფრო სრულყოფილად და მარტივად, აღნიშნულ საკითხს კი საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიულობის თვალსაზრისით.

1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი სახეები

ქართული სამართლის ცნებათა სისტემაში ვალდებულებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია.¹ ვალდებულების შინაარსში ორი ძირითადი ელემენტი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული არის ძალაში. კერძოდ, სახეზე გვაქვს ერთი პირის უფლება მოითხოვოს შესრულება და მეორე პირის მოვალეობა შეასრულოს ის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულება როგორც სამართლებრივი ურთიერთობა, სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშობა.

ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველი არის ხელშეკრულება, სადაც ყველაზე კარგად ჩანს კერძო სამართლის ბუნება, რამდენადაც ურთიერთობის მონაწილეები თავად აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთმანეთში და ნებაყოფლობით კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. გარდა ხელშეკრულებისა, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები პირდაპირ კანონითაც არის გათვალისწინებული. ამიტომ მათ კანონისმიერ ვალდებულებებს უწოდებენ. სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს ზიანის მიყენების (დელიქტის) და უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე. ვალდებულების

¹ სურგულაძე ნ, რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს ინსტიტუციები წ III ტ III. თბილისი, 2002, გვ. 168.

მნიშვნელობა მხარეებისთვის მხოლოდ გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების მინიჭებით არ შემოიფარგლება, ვინაიდან მისი რეალიზაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებით არის განპირობებული. ანუ ის, რაც არ სრულდება ნებაყოფლობით, მხარის მიერ შეიძლება შესრულდეს ვალდებულების ძალით. ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი რისკი და თანმდევი მოვლენაა. ვალდებულების დარღვევა არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი, რომელიც უმთავრესად მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს უფლებადარღვეული პირის მდგომარეობის აღდგენა. ვალდებულების წარმოშობის სხვადასხვა საფუძვლის არსებობას საბოლოოდ მივყავართ ვალდებულების დარღვევის სხვადასხვა სახესთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს როგორც ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილი ზიანის სამართლებრივი ბუნების კვალიფიკაცია გაცილებით მარტივია, ვიდრე არასახელშეკრულებო ურთიერთობაში დამდგარი ზიანის, ვინაიდან როდესაც სუბიექტებს შორის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, უკვე შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, ხომ არ ჰქონდა გარიგების ინიციატორ მხარეს წინასწარგანზრახულად მოტყუების საფუძველზე სარგებლის მიღების სურვილი. სწორედ ამ ორი ურთიერთობის გამიჯვნა იწვევს ხშირად მოტყუებით დადებული გარიგების აღრევას სისხლის სამართლის დანაშაულში.

1.2 სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა

დელიქტური პასუხისმგებლობა კიდევ ერთი სამოქალაქო სამართლებრივი სამართალურ-ურთიერთობის სფეროა, რომელსაც ასევე მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად ზიანის დადგომასთან.

სამოქალაქო სამართალში მეცნიერ-იურისტთა შორის ხანგრძლივი დისკუსიის მიუხედავად დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის გამიჯვნის ერთიანი კრიტერიუმი.² დელიქტური პასუხისმგებლობის და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათებისას შეიძლება ითქვას, რომ თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება, რის შედეგადაც ირღვევა კონკრეტული

² სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ, “სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელის კონკურენცია” ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2011, გვ 70.

ვალდებულებები და მხარეს ეკისრება ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, დელიქტით ზიანის მიყენება ხდება იმ პირის მიერ, რომელიც დაზარალებულთან არ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აქტიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით იწვევს პირის უფლებების (სიცოცხლე, ჯანმრთელობა) დარღვევას.³ ანუ დელიქტური ურთიერთობა წარმოიშობა ზიანის მიყენების მომენტიდან და ის წესრიგდება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობის გამო იკვეთება დელიქტსა და სისხლის სამართლებრივი დანაშაულით დამდგარ ზიანს შორის ურთიერთკავშირი.

დელიქტის დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, თუმცა 992-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა და შესაბამისად სახელშეკრულებო ურთიერთობები წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით და ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილით, დელიქტური ვალდებულებები კი არასახელშეკრულებო ურთიერთობათა რიცხვს მიეკუთვნება და წესრიგდება ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი კი ეხება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ხშირია, როდესაც ნორმები, რომლებიც არასახელშეკრულებო ურთიერთობებს არეგულირებენ, ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებზეც ვრცელდება, მაგალითად სსკ-ის 527-ე მუხლი, სადაც ნაქვამია რომ გამჩუქებელმა განზრახ არ უნდა დამალოს გაჩუქებული ქონების ნაკლი, თუ იგი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არსად მიუთითებს რომ 527-ე მუხლის ჰიპოთეზის დადგომისას გამოყენებული უნდა იქნეს დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები, თუმცა აღნიშნული მუხლის განმარტებისას მეცნიერები მათ ნაშრომებში აღნიშნავენ რომ ზემოაღნიშნული მუხლის დადგომა იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა რომ ზიანის მიყენება ხდება იმ პირის მიერ, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებაშია დაზარალებულთან.⁴

ანალოგიურ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მიმართავდა საგამოძიებო ორგანოს და საგამოძიებო ორგანოს მიერ დადგინდებოდა გამჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისთვის ნაკლიანი ნივთის წინასწარგანზრახულად ჩუქებისა და ამით ზიანის

³ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ, “სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელის კონკურენცია” უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2011, გვ 70.

⁴ ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისის 1999, გვ. 259.

მიყენების, ქონებრივი სარგებლის მიღების მიზანი, საქმეზე აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის კვალიფიკაციით. მსგავს პრაქტიკულ შემთხვევაში მთავარია მხარეებმა ერთმანეთისგან კარგად გამიჯნონ ერთმანეთისგან გამჩუქებლის მიზანი სარგებლის მიღებასთან მიმართებაში. უპირატესი კითხვა მოცემულ საკითხში გახლავთ - იცოდა თუ არა გამჩუქებელმა ნივთის ნაკლის შესახებ და ისახავდა თუ არა მიზნად დასაჩუქრებულისთვის ზიანის მიყენებასა და თავის მხრივ ქონებრივი სარგებლის მიღებას.

1.3 სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ურთიერთმიმართება

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ დელიქტსაც, როგორც სამოქალაქო სახის პასუხისმგებლობის დადგომის ერთ-ერთ სახეს.

სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ურთიერთმიმართება სარჩელის კონკურენციის პრობლემა უძველესი დროიდან მეცნიერ-იურისტთა განხილვის საგანია. პრაქტიკაში ასევე პრობლემატურია სახელშეკრულებო, დელიქტური და თაღლითობის შედეგად მიყენებული ზიანის გამიჯვნა.

სავინის მოსაზრებით მხოლოდ სარჩელის მიზნის იდენტირობაა ის წინაპირობა, რომელიც უდავოდ, ქმნის სარჩელთა ურთიერთდამთხვევას. ვინაიდან განავრცობს სავინის მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმს და განმარტავს, რომ სარჩელის მიზნის იდენტირობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს კონკურენციას, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის მიზნის მიღწევა სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი.

ფრანგი იურისტი ჟ. მორანდიერი თავის ნაშრომში განიხილავს დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევებს. მორანდიერის აზრით, - „როდესაც სახეზეა ბრალის ხარისხის მიუხედავად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შორის ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვანი შესრულება, ყოველთვის დადგება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი რაიმე სახით დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, სახეზე იქნება დელიქტური პასუხისმგებლობა. ეს ყველაფერი კი სრულ შესაბამისობაში მოდის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ დელიქტის ცნებასთან” (მუხლი 1382)⁵.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცდილობს - გამორიცხოს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის შეჯიბრებითობა და პირდაპირ მიუთითებს იმ ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იყოს

⁵http://www.napoleonseries.org/research/government/c_code.html French Civil Code. BOOK III. Of The Different Modes Of Acquiring Property. CHAPTER II. Of Crimes and Quasi-crimes

გამოყენებული. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სარჩელთა კონკურენციას ფაქტობრივად ადგილი არ აქვს, რადგან კოდექსი დელიქტური ვალდებულებების ნაწილში იმპერატიულად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისას დელიქტური პასუხისმგებლობის წესს. კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილ ზიანს კოდექსი ყოველთვის დელიქტური პასუხისმგებლობად მიიჩნევს შემდეგ შემთხვევებში: სსკ-ის 999-ე მუხლის თანახმად, თუ მგზავრის გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის პროცესში სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი. საინტერესოა ჩამოთვლილი ხდომილობები რატომ არ განეკუთვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძვლებს.

სამოქალაქო კუთხით მნიშვნელოვანია დელიქტის დადგენის მიზნით დადგინდეს მხარეებს ხომ არ აკავშირებთ სახელშეკრულებო ურთიერთობა, რაც გამოიწვევს დელიქტის არსებობას. რაც შეეხება დელიქტისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნას, აქ შედარებით მარტივად გვაქვს საქმე. დანაშაულის შემდგომ ზიანის ანაზღაურების საფუძველი სამოქალაქო კანონმდებლობაში გახლავთ სწორედ დელიქტი. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ავტოავარიას მგზავრის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ მოჰყვა და აღნიშულში მძღოლის ბრალეულობა არ დადგინდა, დელიქტით ზიანის ანაზღაურებას ვერ მოვიტხოვთ.

თუ სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ზიანი მიაღება, დადგება დელიქტური პასუხისმგებლობა. თუმცა აქვე ისმის კითხვა - რატომ არ დგება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სსკ-ის 1007-ე მუხლი არ იძლევა მითითებას, რომ სამედიცინო დანესებულება ამ დროს სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს. თუმცა 1007-ე მუხლი უდავოდ ის შემთხვევაა, როდესაც სამედიცინო დანესებულება ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს ყველაფერი შეიძლება ინვევდეს აზრთა სხვადასხვაობას, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ განვიხილოთ აღნიშნული საკითხი. ერთი მხრივ, როდესაც შემთხვევით გამვლელი ექიმი ჰიპოკრატეს ფიცის საფუძველზე პირს გაუწევს დახმარებას, ასეთი სამედიცინო დახმარება, რა თქმა უნდა, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებად არ ჩაითვლება და საჭირო შემთხვევაში, ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება დელიქტურ პასუხისმგებლობად, მაგრამ როდესაც ავადმყოფი სპეციალურად სამედიცინო დანესებულებაში მიდის სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სამედიცინო დანესებულებასთან ასეთი ურთიერთობა, როგორც გარიგების

კონკლუდენტური ფორმა, სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოშობს იმის მიუხედავად, შემდგომში წერილობით დაიდება თუ არა რაიმე ხელშეკრულება.⁶

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 1014-ე მუხლები უხარისხო პროდუქტის მწარმოებლისათვის ინვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას თუ ამ პროდუქტის მოხმარების შედეგად ზიანი მიაღდა მოქალაქის სიცოცხლეს, სხეულს ან ჯანმრთელობას. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი დაზარალებულთან იმყოფებოდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. როგორც აღვნიშნე ჩემს მიერ მოყვანილი სამივე შემთხვევა ინვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რაც აჩენს მოსაზრებას, რომ რთულია დადგეს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენცია. თუმცა პრაქტიკაში, ეს ყველაფერი მიუხედავად კანონის ცალსახა დანაწესისა, სხვაგვარად ხორციელდება.

განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება⁷. მოსარჩელეს ექიმთან დადებული ხელშეკრულებით არასწორად გაუკეთდა ოპერაცია, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა რომ მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ შემთხვევაში საოლქო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო სსკ-ის 1007-ე მუხლს და მიიჩნია, რომ სახეზე იყო დელიქტური პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, სადაც სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი რადგან მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა.⁸ აღნიშნულ შემთხვევაში აზრს კარგავს სსკ-ის 1007-ე მუხლის არსებობა, რომელიც როგორც მოგახსენებთ სწორედ იმას ემსახურება, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე დელიქტური პასუხისმგებლობა გავრცელდეს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის მოპასუხეს დაეკისრება დელიქტური პასუხისმგებლობა, როცა სახეზე იქნება სსკ-ის 999-ე, 1007-ე, 1009-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევა. თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს საკითხი პარქტიკაში ასე მარტივად არ წყდება და დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მუხლებთან არ გვაქვს საქმე მაშინ ცალსახად მოსარჩელის კონკურენციაა სახეზე, რომელიც მოსარჩელეს აძლევს საშუალებას მისი

⁶ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. #3 (30)'11, გვ. 70-71.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება №ას-33-406-05 , 13 აპრილი, 2005 წელი.

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

სურვილისამებრ აღძრას სარჩელი და მოითხოვოს მოპასუხისათვის სახელშეკრულებო ან დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება.⁹ იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმის მიხედვით თუ რომელი მოთხოვნა ჩააყენებს მას უპირატეს მდგომარეობაში. სწორედ ამაზე საუბრობს რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1084-ე მუხლი, სადაც მითითებულია რომ თუ ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზომაა გათვალისწინებული, მაშინ მხარემ უნდა მოითხოვოს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება.¹⁰ აღნიშნული დანაწესი მისაღებია საქარათველოს სამოქალაქო კოდექსისთვისაც. სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის დროს ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი და მისი თავისუფლების ფარგლები. ვინაიდან სარჩელის კონკურენციის დროს უპირატესად გამოსაყენებელი ნორმის შერჩევა მოსამართლის კომპეტენციაა. ის კი, რომ მოსამართლემ სწორად შეარჩიოს მოთხოვნის საფუძველი და ასე აავსოს გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია, როგორც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ისე სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.¹¹

მონტესკიეს მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის გადაწყვეტილება მკაცრად იზღუდება კანონის ტექსტით, შესაბამისად იგი მხოლოდ კანონის ტექსტის გამხმოვანებელია.¹² თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ეს განმარტება აღარ არის გაზიარებული, რამეთუ კანონი მკაცრად განსაზღვრავს მოსამართლის თავისუფლების ფარგლებს. მნიშვნელოვანია რომ მოსამართლემ მოთხოვნათა კონკურენციის დროს გამოიყენოს ნორმა, რომელიც პროცესში გამარჯვებული მხარის სამართლებრივი ინტერესის დაცვას ყველაზე ეფექტურად და მარტივად უზრუნველყოფს და არ დაუშვებს ერთ-ერთი მხარის უფლებამოსილებათა უსაფუძვლო შეზღუდვას ან გაფართოებას.¹³

როგორც პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, პასუხისმგებლობის განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს - დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი. ეს განცდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო ბრუნვის განხორციელებაში. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობა კი ის

⁹ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. #3 (30)'11, გვ. 72.

¹⁰ <http://www.russian-civil-code.com/PartII/SectionIV/Subsection1/Chapter59.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2015).

¹¹ ძლიერიშვილი ზ, ცერცვაძე გ, რობაქიძე ი, სვანაძე გ, ცერცვაძე ლ, ჯანაშია ლ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 84.

¹² კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 65.

¹³ ძლიერიშვილი ზ, ცერცვაძე გ, რობაქიძე ი, სვანაძე გ, ცერცვაძე ლ, ჯანაშია ლ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 84-85.

„ბორკილია“, რომელიც შეიძლება მოჰყვეს როგორც ვალდებულების დარღვევას, ასევე წარმოიშვას დელიქტის შედეგად.¹⁴

ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო სამართლიდან მოყოლებული ყოველთვის იპყრობდა იურისტთა ყურადღებას სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისა და დელიქტური პასუხისმგებლობის ურთიერთანაფარდობის პრობლემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს აქვს მცდელობა, რომ გამორიცხოს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენცია და პირდაპირ მიუთითებს იმ ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იქნეს გამოყენებული. ამ დროს სარჩელთა კონკურენციას ფაქტობრივად ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა პრაქტიკაში ეს ყველაფერი საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სანამ არ მოხდება ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენციას, მოსარჩელემ იმ ნორმაზე დაყრდნობით უნდა აღძრას სარჩელი, რომელიც მას უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს და რომლითაც ის უფრო ადვილად შეძლებს მისი ინტერესის დაკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში მხოლოდ მოსარჩელის პოზიცია არ არის მნიშვნელოვანი და დიდი მნიშვნელობა აქვს თავად მოსამართლეს, რომელმაც კონკურენციის დროს უნდა გამოიყენოს ნორმა, რომელიც პროცესში მონაწილე (დაზარალებული) მხარის სამართლებრივი ინტერესის დაცვას ყველაზე ეფექტურად და მარტივად უზრუნველყოფს. იმისთვის რომ თავიდან იქნას აცილებული სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა, აუცილებელია რომ ცვლილება შევიდეს სსკ-ის 1007-ე მუხლში კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის სამედიცინო დაწესებულება პასუხს აგებს საერთო საფუძვლით მიუხედავად, იმისა იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან. მიმაჩნია რომ აღნიშნული ცვლილება გამორიცხავს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციას და დაგვეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.¹⁵

2. საცილოდ ბათილი გარიგებები

ნაშრომის სათაურის ქვეშ დასმული კითხვის პასუხგასაცემად მნიშვნელოვანია ამომწურავად განვიხილოთ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები და მათგან წარმოშობილი ზიანი, პასუხისმგებლობა. ამდენად თაღლითობასთან პრაქტიკაში

¹⁴ ახვლედიანი ზ, სამართალი, თბილისი, 1999წ, გვ. 66-67.

¹⁵ სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეექვსე ნომერი ქ. თბილისი, დეკემბერი, 2016 წ. ISSN 1512-4525 „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა, გვ.44

დისპოზიციიდან გამომდინარე ყველაზე ახლოს მდგარი გარიგებების სახეებს განვიხილავთ ქვემოთ.

საცილო გარიგებები დადების მომენტში ნამდვილია. ოღონდ მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს თუ არა გარიგების მხარე (ან უფლებამოსილი პირი) ამ გარიგებას. თუ ეს მოხდა, მაშინ გარიგება დადების მომენტიდანვე ჩაითვლება ბათილად. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან.

საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები. საცილო გარიგებათა ეს სახეები იმავდროულად განეკუთვნება ნების ნაკლის გამო დადებულ გარიგებებს. გარიგების შეცილება, როგორც წესი, ხორციელდება შეცილების შესახებ განცხადების გაკეთებით. ამის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. შეცილება საკმარისია გარიგების მონაწილე მეორე მხარი მიმართ. გამონაკლისების გარდა, კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას გარიგების შეცილებისათვის არ ითვალისწინებს. მთავარია შეცილებიდან აშკარად ჩანდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ სურს გარიგების ნამდვილობა, მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება.

დაინტერესებულ პირს შეუძლია არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს. მაშასადამე, შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც.

კანონი შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან.

შეცილება შეიძლება არა მხოლოდ მთლიანად გარიგების, არამედ მისი რომელიმე ნაწილისაც ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.

2.1 შეცდომით დადებული გარიგებანი

შეცდომა ადამიანის ცხოვრების თანმდევაა, იგი ფსიქოლოგიის მეცნიერული და მენტალურ-მორალური კატეგორიაა. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიურ-ისტორიულ ჭრილში შეუძლებელია თვით ცნების „შეცდომა“ სტატიკური დეფინიციის მოძიება ან ფიქსაცია, რადგან დამოკიდებულება შეცდომის მიმართ არის სუბიექტური, იგი ბუნებაში არ მოიპოვება როგორც რაიმე ობიექტური მოცემულობა. ზოგადი წესის მიხედვით, შეცდომაში, პირველ რიგში, იგულისხმება არასწორი წარმოდგენა ამა თუ იმ ფაქტზე, მოვლენაზე ან თუნდაც გარკვეულ სამართალურთიერთობაზე. შეცდომაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომა არის ისეთი ფსიქოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც პირს სჯერა იმ სინამდვილის, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მაგრამ ობიექტურ სინამდვილეში არსებული

სამართალურთიერთობა, ფაქტი, მოვლენა და ამ უკანასკნელთა სუბიექტური აღქმა ერთმანეთის იდენტური არ არის. მაგალითად, პირს შეუძლია შეიძინოს გარკვეული ნივთი, მაგრამ შეცდომის საფუძველზე (ეგონა, რომ ნახატი შესრულებულია მხატვარი X-ს მიერ და აღმოჩნდა, რომ ნახატის ავტორია მხატვარი Y).

სამოქალაქო სამართლისთვის, შეცდომასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია სამართლიანობის სრულად დაცვა და უზრუნველყოფა, რადგან სამართლიანობაში, ერთი მხრივ, იგულისხმება, რომ იმ მხარეს, რომელიც ნამდვილად შეცდა, უნდა დაუბრუნდეს ის, რაც მან შეცდომით გაასხვისა ან დაკარგა (მაგალითად, გაყიდა სახლი და მასთან არსებული მიწის ნაკვეთი ისე, რომ მიაჩნდა, თითქოს მხოლოდ სახლს ყიდდა), ხოლო მეორე მხრივ, არის კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელმაც ზემოაღნიშნული სახლი და მიწა კეთილსინდისიერად შეიძინა. მაგალითად, ზემოაღნიშნული სახლისა და მიწის ნაკვეთის ერთიანად გაყიდვის ნება (და შესაბამისად, ამის განზრახვა) არ ჰქონდა მის მესაკუთრეს, მაშასადამე ფორმულირება „ვასხვისებ სახლს და მასთან არსებულ ყველა მოძრავ და უძრავ ნივთს“ მოიცავდა ასევე სახლთან არსებულ მიწის ნაკვეთს. სახლის მესაკუთრეს არ ჰქონდა არც გაცნობიერებული და არც ნასურვები ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც რეალურად დადგა. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში კანონმდებელი? კანონმდებლის პოზიცია დამყარებულია თანამედროვე მოძღვრებაზე შეცდომის შესახებ და სწორედ ეს მოძღვრება უდევს საფუძვლად სსკ-ს 72-ე მუხლს, რომლის მიხედვით, შეცდომამ (ნების ნაკლმა) შეიძლება განაპირობოს გარიგების ბათილობა. სწორედ აქ ისმის კითხვა: როგორმა (რა ტიპის) შეცდომამ შეიძლება განაპირობოს გარიგების ბათილობა? რადგან ყველა (თითოეული) შეცდომის მიჩნევა გარიგების საფუძვლად, როგორც ზემოთ ითქვა, სახიფათო იქნებოდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობისთვის, რადგან თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების ფაქტობრივი შედეგით უკმაყოფილო მხარეს შეეძლო ეთქვა, რომ შეცდა. აქვე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ შეცდომა და კანონის უცოდინრობა. შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინრობა კი - საქმის მდგომარეობის არცოდნა. კანონმდებელი გარკვეულწილად აკონკრეტებს ამგვარი შეცდომის ტიპს (უნოდებს მას - არსებით შეცდომას) და ადგენს ამ შეცდომათა ჩამონათვალს.

მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, არსებითია შემდეგი შეცდომები: პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზეც მან გამოთქვა თანხმობა (ამ შეცდომას ასევე უწოდებენ შეცდომას გარიგების ტიპის არჩევაში). შეცდომას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ნების გამოვლენა ნაჩქარევად, უზუსტობა გარიგების დოკუმენტში და მრავალი სხვა.

შეცდომა ხშირია მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ტექსტს ადგენენ არაიურიდიული განათლების მქონე პირები, რომლებსაც შეიძლება საფუძვლიანად (სრულად) არ ჰქონდეთ გააზრებული ამა თუ იმ ტერმინის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი გამოყენების სამართლებრივი შედეგი. ამ ტიპის შეცდომა გვხვდება ასევე, როდესაც პირი სამართალში აღიარებულ ცნებაში სხვა შინაარსს დებს;

შეცდომა გარიგების საფუძვლებში - ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ არსებობს ის გარემოებები, რომლებსაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად (გარიგების საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას). ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული დებულებების მიხედვით, საფუძველში შეცდომა არის შეცდომა განსაზღვრულ გარემოებაში;

შეცდომა კონტრაჰენტის (ლათ. *contrahens (contrahentis)*) ხელშეკრულების დამდები - პირი ან დაწესებულება (იურიდიული პირი), რომელმაც ხელშეკრულების ძალით რაიმე ვალდებულება იკისრა.) პიროვნების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა არსებითად, თუ თავად კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია. ამგვარი შეცდომა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით - კონტრაჰენტის ასაკი, სიმაღლე, წონა, პროფესიონალიზმი და მრავალი სხვა.¹⁶ აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი მიიჩნევს გარიგების ბათილობის საფუძვლად კონტრაჰენტის არა ყველა თვისებაში შეცდომას, არამედ მხოლოდ ისეთ პირად თვისებაში შეცდომას, რომელიც გარიგების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, შეცდომა პიროვნებაში უნდა განვასხვავოთ შემოქმედებითი და სპორტული წარუმატებლობისგან.

სახელდობრ, გარიგების დადებისას პირი ცდებოდა და მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მის მიერ გარეგნულად გამოხატულ ნებას ამგვარი შედეგი ექნებოდა ამა თუ იმ ქმედებისთვის. უფლებაში შეცდომა გვხვდება სწორედ იმ მაგალითში, სადაც პირი ყიდდა თავის საკუთრებაში არსებულ სახლს და გარიგებაში ეწერა „სახლი მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“. პირმა არ იცოდა, რომ უძრავ-მოძრავ ქონებაში იგულისხმებოდა ის მიწის ნაკვეთიც, რომელიც სახლთან არის. შეცდომა უფლებაში ძირითადად კანონის უცოდინრობით არის განპირობებული, რადგან მას რომ სცოდნოდა უძრავი ქონების ცნების მნიშვნელობა სამართლებრივ ჭრილში, ის არ ჩაწერდა ზემოაღნიშნულ წინადადებას გარიგებაში. თუმცა უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება, თუ სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოცემულ გარიგებას მოსდევს, კანონით არის განსაზღვრული და გარიგების მხარე კანონის საწინააღმდეგო ნორმას აფიქსირებს.

¹⁶ გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება) გიორგი გ. თუმანიშვილი, გვ 114-119
83

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დადგენილი წესის მიხედვით, „შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო“. სამოქალაქო სამართალში არსებული ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების მოტივში შეცდომა არაა გარიგების ბათილობის საფუძველი, რადგან გარიგების დადებისას მის მონაწილე თითოეულ მხარეს აქვს თავისი წარმოდგენები და ზრახვები, შესაბამისად, მოტივებიც ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია. თუ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა ზოგად წესად დაანსებდა გარიგების დადების მოტივში არსებულ შეცდომას გარიგების ბათილობის საფუძველად, წარმოიქმნებოდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისა და სამოქალაქო ბრუნვის დაუცველობასა და არასტაბილურობის საფრთხე, ამის გამო კანონმდებელმა სსკ-ს 76-ე მუხლის ძალით დაადგინა, რომ „შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა“.

შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საცილო გარიგებასთან ანუ იმ გარიგებასთან, რომელიც ნამდვილია იმ მომენტამდე, ვიდრე მისი მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების ბათილობას (არ შეეცილებიან მას).¹⁷

გარიგების ბათილობაში იგულისხმება, რომ ამ გარიგების საფუძველზე არც შესაბამისი ვალდებულება წარმოიქმნება. გარიგების ბათილობით გამოწვეული შედეგების მიმართ მთლიანად მოქმედებს ის წესები, რომლებიც გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ (სსკ-ს 976-991 მუხლები).¹⁸

2.2 იძულებით დადებული გარიგებანი

საცილო გარიგებების ყველაზე უხეში ფორმა, რომელიც ნების გამოვლენის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული, არის იძულებით (იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება) დადებული გარიგებები. მოტყუებისგან განსხვავებით, იძულების შედეგია არა შეცდომა, არამედ ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. ფაქტობრივად, თავს არ იჩენს ფსიქოლოგიური ნების ნაკლი: პირმა აშკარად იცის, რომ მისი შინაგანი ნება და ამ ნების გარე გამოვლენა

¹⁷ გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება) გიორგი გ. თუმანიშვილი. გვ. 66

¹⁸ გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება) გიორგი გ. თუმანიშვილი. გვ.70

(გამოხატვა) ერთმანეთისგან განსხვავებულია და რომ ეს განსხვავებულობა არ არის ამ პირის მიერ საკუთარი ნების გამოხატვაში მისი მიზნით განხორციელებული. აქ თავს იჩენს მის პიროვნებაზე პირდაპირი ზემოქმედება გარიგების დადების მიზნით ნებისმიერი იმ პირის მიერ (მათ შორის მესამე პირის მიერ), რომელსაც თვით ეს პირი არ განეკუთვნება.

იძულება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. მოტყუების მსგავსად, იძულება შეიძლება ასევე განხორციელდეს მესამე პირის მიერ. თუმცა, გარიგების ბათილობას განაპირობებს მხოლოდ ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. კანონმდებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ იძულებითი გარიგების ბათილობის საფუძვლით, რომელიც მიმართულია პიროვნებისკენ ან მისი ქონებისკენ, არამედ აფართოვებს გარიგების ბათილობის საფუძვლებს და ადგენს, რომ იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. ამრიგად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს უფლებას, მოითხოვოს გარიგების ბათილობა იმ შემთხვევაშიც, თუ იძულება განხორციელდა მესამე პირის მიერ.

იძულებად არ მიიჩნევა ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამება. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ორივე შემადგენელი (მიზანი და გამოყენებული საშუალებანი) არამართლსაწინააღმდეგოა. მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილია, რომ იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან, ე.ი. კანონმდებელი ადგენს შეცილების ვადასთან მიმართებაში იმავე სტანდარტს, რომელიც დადგენილია მოტყუებით დადებული გარიგებებისთვის, იმ განსხვავებით, რომ იძულებით დადებული გარიგებების შემთხვევაში, შეცილების ვადის ათვლა იწყება იძულების დამთავრების მომენტიდან. თავის მხრივ, იძულების დამთავრების მომენტად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც პირი ფსიქოლოგიურად აღარ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე ან პირებზე ან ამ პირთა ნების გამოვლენაზე, რომლებიც ახორციელებდნენ მასზე ზეწოლას (ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით).

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ შემთხვევაში (შეცდომით, მოტყუებით, იძულებით დადებული გარიგებანი), საქმე ეხება შეცილებას და ამ შეცილების გამო გარიგების ბათილობას. მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ კითხვას: რა შედეგები მოჰყვება შეცილებას?

მხარეებს შეიძლება შესრულებული ჰქონდეთ გარკვეული ქმედებები გარიგების დადების მომენტის შემდეგ. გარიგების ბათილად აღიარება ნიშნავს, გარიგების დადების მომენტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას. ამრიგად, თუ საცილო გარიგების მხარეებმა ერთმანეთს რაიმე გადასცეს, ისინი ვალდებული არიან, დაუბრუნონ ყველაფერი ერთმანეთს, რისი გადაცემის ვალდებულებაც მათ წარმოეშვათ ერთმანეთის მიმართ იმ საცილო გარიგების საფუძველზე, რომელიც არის ბათილი. გარიგების ბათილობაში იგულისხმება, რომ ამ გარიგების საფუძველზე არც შესაბამისი ვალდებულება წარმოიქმნება. გარიგების ბათილობით გამოწვეული შედეგების მიმართ მთლიანად მოქმედებს ის წესები, რომლებიც გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ (სსკ-ს 976-991 მუხლები).¹⁹

იძულებით დადებული გარიგების მსგავსება სისხლის სამართლის დანაშაულებიდან გამოიხატება - „იძლებაში“, თუმცა თაღლითობასაც შეიძლება თან სდევდეს პირის ან მისი ოჯახის წევრის იძულება რაიმე დათმონ ან ამით სარგებელი მიიღონ. როგორც ზემოთ ვისაუბრეთ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იძულების მართლსაწინააღმდეგო ხასიათია.

2.3 მოტყუებით დადებული გარიგებანი

ნების გამოვლენის თავისუფლება შეიძლებაა შეიზღუდოს (ხელყოფილ იქნას, შეიცვალოს) არა მხოლოდ გარიგების მონაწილის შეცდომის საფუძველზე, არამედ გარიგების კონტრაქტის განზრახი მოქმედების - მოტყუების შედეგად. მოტყუებით დადებულ გარიგებებზე მსჯელობისას უწინარესად უნდა გაირკვეს, რა არის მოტყუება და შესაბამისად, თავად ტყუილი? ტყუილის უნივერსალური დეფინიცია არ მოიპოვება, აშკარაა, რომ როგორც სამართლის, ისე ფსიქოლოგიის ფარგლებში ტყუილად განიხილება არსებული რეალობის შესახებ არასწორი (დამახინჯებული, სახეშეცვლილი) ინფორმაციის (ცოდნის, გამოცდილების) მიწოდება სხვა ნებისმიერი (მესამე) პირისთვის. სამოქალაქო კანონმდებლობაში მოტყუებით დადებულ გარიგებებზე მსჯელობისას განმარტებულია, რომელ შემთხვევაში ჩაითვლება მოტყუებით დადებული გარიგება საცილო გარიგებად. მოტყუება პირის განზრახ ცდომილებაში შეყვანაა. ისევე, როგორც შეცდომის შემთხვევაში, მოტყუებისას თავს იჩენს გამოვლენილი ნების ნაკლი, მაგრამ შეცდომისგან განსხვავებით, თუ ეს ნაკლი თავად ნების გამომვლენის პიროვნებაშია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედებაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია, მოტყუებისას ხორციელდება გარიგების მეორე მონაწილის მიზანმიმართული ქმედება, რომელიც მიმართულია პირველი მონაწილის შეგნებულად, განზრახ შეცდომაში შეყვანაზე. კანონმდებელი სსკ-ს 81-ე მუხლში პირდაპირ ადგენს, რომ მოტყუებით

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

დადებულ გარიგებად ჩაითვლება გარიგება, რომელიც დადებულია ისე, რომ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს. მოტყუება შესაძლებელია გამოიხატოს არა მხოლოდ აქტიური ქმედებით, არამედ, მაგალითად, იმ მონაცემების დაფარვით, რომლებიც გარიგების მხარეს უნდა შეეტყობინებინა მეორე მხარისთვის. ამ მონაცემების შეუტყობინებლობამ შეიძლება არსებითად იმოქმედოს პირის მიერ გარიგების დადების შესახებ გადაწყვეტილების ფორმირებაზე. მოტყუებით დადებული გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ პირმა იცის, რომ რეალობის შესახებ განზრახ არასწორი (დამახინჯებული, სახეშეცვლილი) ინფორმაციის მიწოდებით (ან/და პირიქით ამ ინფორმაციის არ მიწოდებით) იგი უბიძგებს მხარეს, რომ მან დადოს გარიგება, ან/და უქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც (ერთი შეხედვით) ხელსაყრელია გარიგების დასადავად. მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში გარიგების საცილობის მაკვალიფიცირებელია ის, რომ მოტყუება საფუძვლად ედო გარიგების დადებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, დაიდებოდა თუ არა მხარეებს შორის იგივე გარიგება იმ შემთხვევაში, თუ მოტყუებას ადგილი არ ექნებოდა? როდესაც ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, ჩვენ საქმე არ გვაქვს მოტყუებით დადებულ საცილო გარიგებასთან, რადგან მხარეები მზად არიან დადონ გარიგება ერთმანეთთან იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც მათთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი (რაც მანამდე ტყუილის სახით ეცნობა ან/და პირიქით არ ეცნობა). ამასთან, კანონმდებელი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც, მოტყუების შედეგად დაზარალებულ მხარეს ყოველთვის შეუძლია, მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამისთვის კანონმდებელი პირდაპირ მოითხოვს, რომ მოტყუება საფუძვლად ედოს ამ გარიგების დადებას, სახელდობრ, სსკ-ს 81-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“. აღსანიშნავია, რომ მოტყუებით დადებული გარიგებების ბათილობისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს უკავშირდება თუ სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე. ეს ფორმულირება იმას ნიშნავს, რომ თუნდაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიზანმიმართული დამალვა (რომელიც გადაიზარდა მოტყუებაში) ემსახურება მხოლოდ გარიგების დადებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და არ წარმოადგენს ტყუილს, რომელიც ეხება გარიგების საგანს - გარიგება მაინც უნდა ჩაითვალოს მოტყუებით დადებულად და ამგვარი გარიგება განეკუთვნება საცილო გარიგებათა ტიპს. აღწერილ შემთხვევის დროს აშკარა უნდა იყოს, რომ ტყუილი (ინფორმაციის არ მიცემა ან სახეშეცვლილი ფორმით მიწოდება) არ არის მიმართული გარიგების საგანზე, მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების შემთხვევაშიც მეორე მხარე

არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ - მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებას. მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირის მხრიდან მოტყუება თავისთავად ვერ გამოიწვევს გარიგების ბათილობას. მთავარია, მას როგორ აღიქვამდა მხარე, რომელიც სარგებელს იღებდა ამ გარიგებიდან. კეთილსინდისიერი იყო იგი თუ არაკეთილსინდისიერი. საყურადღებოა კანონმდებლის პოზიცია იმ შემთხვევაზე, როდესაც გარიგების მონაწილე ორივე პირი მოქმედებდა მოტყუებით: „იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება“. შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საცილო გარიგებასთან ანუ იმ გარიგებასთან, რომელიც ნამდვილია იმ მომენტამდე, ვიდრე მისი მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების ბათილობას (არ შეეცილებიან მას).

3. თაღლითობის განსხვავება მოტყუებით დადებული გარიგებისგან

თაღლითობა მეტად წააგავს მოტყუებით დადებული გარიგება, რომელიც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს (სსკ-ის 81-ე მუხლი). მათ შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ სამართალგამოყენებითი ორგანოები ხელმძღვანელობენ არა ზუსტად ფორმულირებული დებულებით, არამედ მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენით, ამა თუ იმ პროცესის თავისეული გაგებით.

მთავარი განსხვავება ამ ქმედებებს შორის მათი გახორციელების მიზნია. მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში მოტყუება ხდება გარიგების დადების მიზნით, თაღლითობას კი სოციალურად უფრო მეტი საშიშროების შემცველი მიზანი აქვს. ამასთანავე 82-ე მუხლში მითითებულია, რომ მნიშვნელობა არა აქვს არასწორი ცნობების შეტყობინება მიზნად ისახავს რაიმე სარგებლის მიღებას, თუ - მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებას. თუ პირს ტყუილით სარგებლის მიღებაც სურს და მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებაც, სახეზე გვაქვს თაღლითობის შემადგენლობა. ხოლო თუ პირის მიზანი არაა მეორე მხარისთვის ზიანის მიყენება და მხოლოდ სარგებლის მიღება სურს გარიგების დადებით, აქ ცალსახად მოტყუებით დადებულ გარიგებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ბინის მაკლერმა, რომელმაც იყის, რომ სახლი, რომელის გაყიდვასაც ის შუამავლობს, ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მაგრამ მყიდველს ამის შესახებ არაფერს ეუბნება. არც მყიდველი იჩენს დიდ ინიციატივას. სამაგიეროდ ავარიული სახლის გაყიდვით ის დიდ

სარგებელს ნახულობს. მყიდველს კი ამით ზიანი ადგება. იმავე შემთხვევაში განვიხილოთ სახლის მესაკუთრის (გამყიდველის) ქმედება. თუ სახლის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება მისი დაზიანების გამო და მესაკუთრე ამას მალავს, იგი წინასწარგანზრახულად პასიური მოტყუებით ახორციელებს თაღლითობას, რადგან ამით სარგებელსაც იღებს და ზიანსაც აყენებს სახლის მყიდველს.

მოტყუებულ, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა და ამასთანავე ამ გარიგებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოტყუებით დადებული გარიგება საცილო გარიგებაა და ნამდვილია შეცილების მომენტამდე, ე.ი. იმ მომენტამდე ვიდრე გარიგების მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების გაბათილებას. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან. თაღლითობის შედეგად დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგებს საერთოდ არ წარმოშობს და შეცილების გარეშეც ბათილია გარიგების დადების მომენტიდან. მართალია, გარიგება ბათილია, მაგრამ ის, როგორც ქმედობა, სამართლებრივ შედეგებს ინვესტს, მაგრამ არა იმ შედეგებს, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ. არარა გარიგების სამართლებრივი შედეგი იქნება, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების დაკისრება ანდა გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება და ა.შ. ბუნებრივია ეს არაა ის შედეგი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებს ჩათვლირებული ჰქონდათ. იგი უცილოდ ბათილი გარიგებაა. თაღლითობის საგნად შეიძლება მხოლოდ განაღდებული ჩეკი მივიჩნიოთ. მოვიყვანოთ მაგალითი; მეგობრები, მარიამი და ქეთევანი ავეჯის მაღაზიაში წავიდნენ მარიამისთვის საწოლის საყიდლად. მაღაზიაში საწოლი შეარჩიეს და მარიამმა ყიდვა გადაწყვიტა. ქეთევანმა ისარგებლა რა მარიამის ნდობით, შესთავაზა მას, რომ ეყიდა საწოლი, გადაეხადა ფული, გადახდილი (განაღდებული) ჩეკი მიეცა ნინოსთვის, რათა მეორე დღეს ქეთევანი მივიდოდა მაღაზიაში, წარადგენდა განაღდებულ ჩეკს და წამოიღებდა საწოლს. ახლა კი ჯობდა საწოლი მაღაზიაში დაეტოვებინათ და თავად ტანსაცმის მაღაზიებში გაეცლოთ, რადგან იცოდა მარიამს დიდი ხანია ერთი ქურთუკის ყიდვა სურდა. ქეთევანი დაჰპირდა მარიამს, რომ მეორე დღეს თავად მიუტანდა საწოლს სახლში. მარიამი ენდო ქეთევანს დაუჯერა, მისცა ჩეკი და შემდეგ ერთად წავიდნენ ტანსაცმლის მაღაზიაში. მეორე დღეს ქეთევანი მივიდა ავეჯის მაღაზიაში, წარადგინა გადახდილი ჩეკი და საწოლი თავისთან წაიღო. როდესაც მარიამმა საწოლის ამბავი მოიკითხა ქეთევანმა უთხრა, რომ დაკარგა ჩეკი და ამიტომ ვერ მოახერხა საწოლის თამუნასთვის მიტანა. ბოდიშიც მოუხადა. როცა მარიამი მივიდა ავეჯის მაღაზიაში, რათა გაერკვია, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა, უთხრეს, რომ ჩეკი უკვე წარდგენილი, ხოლო საწოლი წაღებული იყო მაღაზიიდან. ცხადია, ქეთევანის ქმედება არის თაღლითობა. მან განაღდებული ჩეკი გამოიყენა თამუნას მოსატყუებლად და მიისაკუთრა თამუნას კუთვნილი საწოლი. აქ შესაძლოა ვიდავოთ თუ როდიდან

ჩაითვლება თაღლითობა დამთავრებულად, ქეთევანის მიერ მარიამისთვის ჩეკის გამორთმევის, თუ მაღაზიიდან საწოლის წამოღების მომენტიდან. რადგან განაღდებული ჩეკი ფულის ტოლფასია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩეკის გამორთმევის მომენტიდანაა დამთავრებული თაღლითობა.

4. სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა პრაქტიკულ მაგალითებზე

სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი ქმედების სწორად კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის სწორად შეფარდებისათვის მნიშვნელოვანია პრობლემის სირთულე განვმარტოთ პრაქტიკული მაგალითის ფონზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №625აპ-17 განჩინებაში ვხვდებით მსჯელობას თაღლითობისა და მოტყუებით დადებული გარიგების პრაქტიკაში ურთიერთგამიჯვნის შესახებ.

საქმე შეეხებოდა შემდეგ შემთხვევას, გ.კ-ს დაარსებული ჰქონდა კომპანია, შპს “.....”. იგი ერთიანი განზრახვით, დიდი ოდენობით ფულადი თანხის მიღების მიზნით, 2014 წლის აპრილიდან - 2015 წლის მაისის პერიოდში ქ. თბილისში ახერხებდა, მოეპოვებინა საქართველოს მოქალაქეების ნდობა და მათ სთავაზობდა კანადაში დასაქმებას. იგი ეუბნებოდა, რომ მათ დაუმზადებდა კანადის სამუშაო ვიზას. აღნიშნულის სანაცვლოდ იგი თაღლითურად, მოტყუებით დაეუფლა მოქალაქეებისგან დიდი ოდენობით ფულად თანხას - დაახლოებით - 332 151 ლარს და ნაცვლად კანადისა, გ. კ-მ მოქალაქეების ნაწილი გააგზავნა პანამის რესპუბლიკაში იმ დაპირებით, რომ იქიდან შეძლებდა კანადაში მათ გადაყვანას, რაც ასევე აღმოჩნდა ტყუილი. გ. კ-მ 2014 წლის ნოემბრიდან - 2015 წლის აპრილის პერიოდში მოიპოვა ნ. ა-ს ნდობა, დაარწმუნა იგი, რომ შეძლებდა ფულის სანაცვლოდ კანადის სამუშაო ვიზის დამზადებას, მის გამგზავრებას და დასაქმებას კანადაში მან თაღლითურად გამოსტყუა თანხა სანაცვლოდ იმისა, რომ გაამგზავრებდა კანადაში.

აღნიშნულ საქმეზე თაღლითობაში ბრალდებულის და შემდგომში მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ გასაჩივრდა გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდგომ საკასაციო წესით.

საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ - დაცვის მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებული გ. კ-ე არის უდანაშაულო და მას არავის მოტყუების განზრახვა არ ჰქონია, პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნული არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ: სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა - მოტყუება. ცხადია,

მოტყუება თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულება. მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შედის თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში. ამდენად, თუ არ იკვეთება ქონების დაუფლებისას პირის მოტყუება, ამ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი, რომლის გარეშეც ქმედების თაღლითობით კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. მოტყუება არის ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ ქმედებაში, ისე პასიურში. მოტყუების ფორმაა აგრეთვე ნდობის ბოროტად გამოყენება. მოტყუებაში კი იგულისხმება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ანდა ხდება გარკვეული გარემოებების განზრახ დაფარვა, ორივე შემთხვევაში კი შედეგად მესაკუთრეს აღგება ზიანი²⁰.

დაცვის მხარე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, რომ გამოკვეთილია სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა და არა – სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული, აპელირებდა იმ გარემოებაზეც, რომ გ. კ-ე მასთან მისულ მოქალაქეებთან აფორმებდა ხელშეკრულებებს, რომლის საგანს წარმოადგენდა პირის დასაქმება. აღნიშნული სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და განმარტა, რომ მოტყუების წერილობითი ფორმა შეიძლება იყოს ხელშეკრულებაც, რომელიც, დაზარალებულის წარმოდგენით, კანონიერ საფუძველს ქმნის დამნაშავისათვის ქონების გადასაცემად. თაღლითობის ფორმაა აგრეთვე ნდობის ბოროტად გამოყენება. ასეთ შემთხვევაში დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებობს პირადი ან სპეციალური უფლებამოსილების ნდობა, რაც ხშირად გამოიხატება მათ სამოქალაქოსამართლებრივ ან შრომით ურთიერთობაში, მაგრამ ურთიერთობა დაწყებისთანავე გამიზნულია იმისთვის, რომ დამნაშავემ დაზარალებულს ქონებრივი ზიანი მიაყენოს მას შემდეგ, რაც ის მის ნდობას მოიპოვებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ გ. კ-მ მას შემდეგ, რაც მოიპოვა დაზარალებულთა ნდობა, თანხის ნაწილი ჩაარიცხვინა თავის ანგარიშზე, ნაწილი კი აიღო ხელზე, მოატყუა ისინი და კანადაში დასაქმების ნაცვლად, ზოგი თურქეთიდანვე დაბრუნდა საქართველოში, ზოგს კი პანამაში გაუსაძლის პირობებში მოუხდა ცხოვრება და მათ მხოლოდ ახლობლების დახმარებით მოახერხეს საქართველოში დაბრუნება.

პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით მსგავსი სახის ვითარებას, როდესაც მხარეთა შორის წარმოშობილ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების შეუსრულებლობა კვალიფიცირდება თაღლითობად მიუხედავად წერილობითი ხელშეკრულების. როგორც სასამართლო განმარტავს, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გამოვდიეთ

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №625აპ-17 განჩინება

სუბიექტის მიზნიდან. მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმებით მის თაღლითურ მიზანს ვერ დაფარავდა, მთავარია ამ ხელშეკრულებების გაფორმების მიუხედავად დამდგარი შედეგი. როდესაც მასიურად ფორმდებოდა მსგავსის ახის ხელშეკრულებები კლიენტებთან და შედეგი არ დადგა, დასაბუთებული ვარაუდი არსებობს იმისა, რომ სახეზე გვაქვს თაღლითობა.

სამოქალაქოსამართლებრივი გარიგება პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხერხია დამნაშავეთა მიერ, რათა დაფარული იქნას მათი სისხლისსამართლებრივი მიზანი. ამდენად, თუ რეალურად გვსურს დავადგინოთ მოქმედი სუბიექტის ქმედების სამართლებრივი ბუნება (სისხლისსამართლებრივი ან/და სამოქალაქოსამართლებრივი) უნდა ჩავწვდეთ მისი მოტყუების მიზანს. დაუშვებელია პირმა სასამართლოს კვალიფიკაციაში ცდომილების გამო თავისუფლების აღკვეთით აგოს პასუხი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული თანხის გადახდის მაგიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის №493აპ-18 განჩინებით განხილულია შემდეგი პრაქტიკული მაგალითი:

2016 წლის 1 ივნისს ვ. მ-მა, ტ. თ-მ და ვ. ა-მა დააარსეს კომპანია შპს „ნ -“, რომლის 100% წილი გაფორმდა ვ. ა-ს სახელზე. კომპანიის დაარსების მიზანი იყო მოქალაქეთა მოტყუება და მათგან თანხების მიღება, თითქოსდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის ქვეყნებიდან ავტომანქანების ჩამოყვანისა და რეალიზაციის სანაცვლოდ.

2016 წლის 21 ივლისს შპს „ნ -ს“ დირექტორის - ვ. ა-ს მიერ დამზადებული ფაქსიმილიის გამოყენებით ტ. თ-მ, ვ. ა-სა და ვ. მ-თან წინასწარი შეთანხმებით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გააფორმა ხელშეკრულება ვ. ჩ-სთან ავტომანქანა „მიცუბი L200-ის“ ევროპის ქვეყნიდან 3510 აშშ დოლარის საფასურად ჩამოყვანის შესახებ. ვ. ჩ-მ შპს „ნ -ს“ ოფისში ტ. თ-ს ხელზე გადასცა თანხის ნაწილი - 2 900 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდაც მას ხელშეკრულების გაფორმებიდან 20-30 დღეში უნდა მიეღო ავტომანქანა „მიცუბი L200“. შპს „ნ -ს“ ზემოთ აღნიშნული მანქანა არ შეუძენია და ვ. ჩ-ის კუთვნილ 2 900 აშშ დოლარს მოტყუებით, თითქოსდა მანქანის შეძენის სანაცვლოდ, თაღლითურად დაეუფლნენ ტ. თ, ვ. ა. და ვ. მ.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს სამოქალაქოსამართლებრივი ბუნების ხელშეკრულება, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობასა და დამდგარ შედეგზე (მანქანები ვერ ჩამოიყვანეს). მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ ჭრილში თუ შევხედავთ, იკვეთება თაღლითობის აშკარა ნიშნები, თუმცა თუ ზემოაღნიშნულ სისხლისსამართლებრივ დეტალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, აშკარაა, რომ მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივ ბუნებას ფარავს სისხლისსამართლებრივი თაღლითობის ბუნება, ვინაიდან ბრალდებულს

წინასწარ გააჩნდა მასიურად მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმებისა და სხვისი მოტყუების ხარჯზე პირადი სარგებლის მიღების მიზანი.

განჩინებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა ასევე დაცვის მხარის პოზიცია ტ. თ-ს უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან დაზარალებულებს - ვ. მ-ის, კ. ჩ-ის, ქ. ყ-ს, მ. ო-ის, შ. ხ-ას ნ. ი-ის, გ. ნ-ის, ლ. ს-ის, ზ. თ-ის, გ. შ-ის, ს. ბ-ას, ჯ. ქ-ას, გ. დ-ას ჩვენებებითა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ტ. თ-მ დაზარალებულები მოატყუა, რომ თითქოს, ჩამოჰყავდათ ავტომანქანები, რის საფუძველზეც მათთან გააფორმა ხელშეკრულებები და გადაახდევინა შესაბამისი თანხები, მაშინ, როცა წინასწარ იცოდა, რომ ავტომანქანებს კლიენტებისთვის არ ჩამოიყვანდნენ და მათთან ხელშეკრულებებს მათი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დებდნენ²¹.

5. თაღლითობის განსხვავება შეცდომით დადებული გარიგებისგან

საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლში ჩამოთვლილია გარემოებები, რაც შეცდომით დადებულ გარიგებად ითვლება. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შეცდომა და კანონის უცოდინრობა. შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინრობა კი - საქმის მდგომარეობის არცოდნა.

შეცდომითაა ასევე დადებული გარიგება, როდესაც ერთ-ერთ მხარეს არ ესმის ქართული ენა, არ იცის კითხვა ან ტერმინების უცოდინრობის გამო, დაუფიქრებლად აწერს ხელს ხელშეკრულებას. აქაც ვაწყდებით სამართალშემოქმედებაში არსებულ პრობლემას. აღწერილი ვითარება ძალიან ჰგავს თაღლითობის ქმედების შემადგენლობას, რადგან ორივეს შედეგად სახეზეა ერთი და იგივე ზიანი. გარდა ამისა, სასამართლოს ზოგჯერ შეცდომით და მოტყუებით დადებული გარიგებების ერთმანეთისგან გამიჯნავს უჭირს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ფიზიკური პარამეტრი, მასზე ადამიანის შრომა უნდა იყოს დახარჯული. საინტერესოა, აქვს თუ არა იგივე წინაპირობები შეცდომით დადებულ გარიგებას. შეცდომით დადებული გარიგების საგანში შეიძლება იგულისხმებოდეს რაიმე მოქმედების შესრულებაც, რომელიც ეკონომიკური დანაშაულების საგნად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, ა-მ კარგად არ იცის ქართული ენა. იგი ხელს აწერს ბ-ეს მიერ შედგენილ ხელშეკრულებას, რომლითაც ფიქრობს, რომ ბ კისრულობს სამისდღემშიო რჩენის ვალდებულებას. სინამდვილეში ა ამ ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას დაუდგეს ვალის თავდებად ბ-ს. თავდებად და სამისდღემშიო რჩენის ვალდებულებას ფიზიკური

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის №493აპ-18 განჩინება

პარამეტრი არ გააჩნია და არც სხვა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, რათა თაღლითობის საგნად მივიჩნიოთ.

6. თაღლითობის ცნება, არსი, მნიშვნელობა

თაღლითობა არის ეკონომიკური დანაშაული, მიმართული საკუთრების უფლების წინააღმდეგ და დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით²². თაღლითობა მიმართულია იმისკენ, რომ დაზარალებულს მიადგეს ქონებრივი ზიანი. აღნიშნული მუხლის დისპოზიციის მიხედვით, თაღლითობა წარმოადგენს სხვისი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ან ქონებრივი უფლების მიღებას, ჩადენილს მოტყუებით. სწორედ მოტყუება არის თაღლითობის, როგორც დანაშაულის მთავარი ნიშანი.

დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც უკვე მოხდება ნივთის (ქონების) მესაკუთრის ან მფლობელისგან ნივთის ან ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღება და არ აქვს მნიშვნელობა შეძლო თუ არა დამნაშავემ თავისი საბოლოო მიზნის მიღწევა ანუ ნივთისა და ქონების მისაკუთრება. თაღლითობა არის განზრახვი დანაშაული და მისი ჩადენისას აუცილებელია დამნაშავეს შეგნებული ჰქონდეს საკუთარი ქცევის შედეგები და აცნობიერებდეს, რომ ატყუებს ნივთის ან/და ქონების მესაკუთრეს ან მის კანონიერ მფლობელს და მას ცრუ ფაქტებს აწვდის ან უმაღლავს სიმართლეს იმ მიზნით, რომ დაეუფლოს მის ნივთს ან ქონებას.

თაღლითობას, განსხვავებით საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან, აქვს ინფორმაციული ხასიათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე დაზარალებულისათვის გარკვეული არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, ან პირიქით ნამდვილი ინფორმაციის დამალვით, ცდილობს, რომ შეაცდინოს იგი და ამ გზით დაეუფლოს მის კუთვნილ ქონებას ან ნივთს და მიისაკუთროს ეს უკანასკნელი ან/და მიიღოს უფლება დაზარალებულის კუთვნილ ქონებაზე.

მოტყუება არის თაღლითობის, როგორც დანაშაულის, ხერხი. ადამიანი, რომელიც გახდება თაღლითობის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევებში თავად გადასცემს დამნაშავეს საკუთარ ქონებას ან ქონებაზე უფლებას ნებაყოფლობით, რადგან მას მიაწოდეს ისეთი ინფორმაცია, რამაც ის შეცდომაში შეიყვანა.

თაღლითობა შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც აქტიური, ისე პასიური მოტყუებით. აქტიური მოტყუებაა, როდესაც ხდება პირის შეცდომაში შეყვანა ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე წინასწარი შეცნობით. პასიური მოტყუება კი გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვას, რომლის დაზარალებულისთვის შეტყობინება სავალდებულო იყო.

²² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

მოტყუება შეიძლება იყოს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით. მოტყუების წერილობითი ფორმა შეიძლება იყოს ყალბი დოკუმენტი ან ხელშეკრულება, რომელიც დაზარალებულის წარმოდგენით კანონიერ საფუძველს ქმნის დამნაშავისათვის ქონების გადასაცემად.

თაღლითობის ფორმაა აგრეთვე ნდობის ბოროტად გამოყენება. ასეთ შემთხვევებში დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებობს ჰირადი ან სპეციალური უფლებამოსილების ნდობა, რაც ხშირად გამოიხატება მათ სამოქალაქო სამართლებრივ ან შრომით ურთიერთობაში, მაგრამ ურთიერთობის დანებისთანავე გამიზნულია იმისთვის, რომ დამნაშავემ დაზარალებულს ქონებრივი ზიანი მიაყენოს მას შემდეგ, რაც ის მის ნდობას მოიპოვებს. ამავე დროს, თაღლითობისას დამნაშავე ყოველთვის მოქმედებს ანგარების მოტივით, რაც მდგომარეობს სხვის ხარჯზე მატერიალური გამორჩენის მიღების ინტერესში.

აუცილებელია განვასხვავოთ თაღლითობა ქურდობის ისეთი შემთხვევისგან, რომლის ჩასადენად დამნაშავე მოტყუებას, როგორც ხერხს, იყენებს იმისთვის, რომ შექმნას ვითარება, რაც მას გაუადვილებს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მისაკუთრების მიზნით. მაგალითად, დამნაშავე მოტყუებით შეაღწევს ბინაში რაიმე ცრუ საბაბით (ვთქვათ, რომ არის ინჟინერი), რის შემდეგაც ის ამ ბინაში ფარულად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს. ეს არის ქურდობა და, განსხვავებით თაღლითობისგან, ამ შემთხვევაში მოტყუებული დაზარალებული „ნებაყოფლობით“ არ გადასცემს ნივთს დამნაშავეს.

ასევე, თაღლითობა უნდა განვასხვავოთ მისი მსგავსი ძარცვის შემთხვევისგან, როდესაც დამნაშავე მოტყუების გამოყენებით აშკარად ეუფლება და იტაცებს სხვის მოძრავ ნივთს. მაგალითად, დამნაშავე დაზარალებულს მიმართავს თხოვნით, რომ ერთი წუთით გადასცეს მას თავისი მობილური ტელეფონი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოსაძახებლად, ხოლო ტელეფონის აპარატის მიღებისთანავე ის დაუყოვნებლივ გარბის და ამ გზით მართლსაწინააღმდეგოდ ისაკუთრებს მას. ძარცვის ასეთი შემთხვევა იმით განსხვავდება თაღლითობისგან, რომ ამ უკანასკნელის დროს დაზარალებული მოძრავ ნივთს დამნაშავეს გადასცემს არა დროებით, იმწუთიერი სარგებლობისთვის, არამედ საკუთრებაში ანდა ხანგრძლივ მფლობელობაში. მაგალითად, დამნაშავემ, წინასწარი განზრახვით, თავისი ნაცნობისაგან, რომლის ნდობითაც ის სარგებლობდა, ინათხოვრა კომპიუტერი ერთი თვის ვადით, მაგრამ ხელში ჩაგდებად 2-3 დღის შემდეგ გაყიდა ეს კომპიუტერი და მიიმალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დამნაშავის მიერ თაღლითობა ჩადენილი იყოს ქონების მესაკუთრესთან ან მფლობელთან ყოველგვარი უშუალო კონტაქტისა და მასთან ურთიერთობაში შესვლის გარეშე.

ასეთი თაღლითობისას ხდება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქონებაზე უფლების მოპოვება სხვა ადამიანების ან რომელიმე დაწესებულების მოტყუების გზით. მაგალითად, დამნაშავე სხვისი უძრავი ქონების (ბინა, მიწის ნაკვეთი და ა.შ.) თაობაზე დაამზადებს ყალბ ნასყიდობის ან ჩუქების ხელშეკრულებას, რომელსაც მოტყუებით დაამონებინებს ნოტარიუსს, ხოლო ამ დოკუმენტით ის აღწევს საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების რეგისტრაციას თავის სახელზე, რის შემდეგაც სწრაფად ყიდის მას. ყოველივე ამის შესახებ კი ქონების კანონიერი მფლობელისათვის ან მესაკუთრისთვის არაფერი არ არის ცნობილი.

საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თაღლითობა ისტება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან გამასწორებელი სამუშაოთი ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისტება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

სსკ-ს 180-ე მუხლის მესამე ნაწილით თაღლითობა, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით (იგულისხმება ნებისმიერი პროფესიული საქმიანობა ან სხვა სამუშაო, როფორც საჯარო-საზოგადოებრივ, ისე კერძო სამსახურის სფეროში), დიდი ოდენობით ან არაერთგზის, ისტება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე, ხოლო აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილით კი თაღლითობა, ჩადენილი ორგანიზაციული ჯგუფის მიერ ანდა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისთვის, ისტება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.²³

7. თაღლითობის ტრანსნაციონალური ხასიათი

თაღლითობა ეწოდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით სხვისი საკუთრების მიტაცებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუების გზით. დანაშაულის ეს სახეობა ჩადენის მეთოდების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასეთი დანაშაულის ჩადენისას დაზარალებული (მენარმე) თავად გადასცემს ქონებას თაღლითს, რადგან სტერა, რომ აქვს მისი დაბრუნების უფლება.

თაღლითობის ტრანსნაციონალური ფორმებია: ფინანსური პირამიდა შიგა ინფორმაციაზე სპეკულაცია და ოფშორული ინვესტირება.

8. ფინანსური პირამიდა

²³ საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

პირამიდის სქემა შემდეგში მდგომარეობს: ახალი ინვესტორების ფული არსებული ინვესტორებისთვის შემოსავლის გადასახდელად გამოიყენება. პირამიდა იშლება, როდესაც არსებული ინვესტორებისთვის გადასახდელი თანხა ახალი ინვესტორებისაგან მიღებულ თანხებს აღემატება. ადრე თუ გვიან ნებისმიერი პირამიდა იშლება.

ფინანსური პირამიდები თავიდან ფინანსური წარმონაქმნებია. ამასთანავე, ისინი პირამიდებად განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გარკვეული მიზეზების გამო იქცევიან. თავდაპირველად ნორმალური კომპანიები იქმნება, შემდეგ კი ისინი ფინანსური სტრუქტურების სახით იწყებენ ფუნქციონირებას. მთლიანობაში, ტრანსნაციონალური თაღლითობა პირამიდას აგებს სხვადასხვა პირობის არსებობის შემთხვევაში²⁴:

1) ბაზარი უზრუნველყოფს არსებობას ფინანსური პირამიდების ძირითადი ინსტრუმენტისა - ფასიანი ქაღალდებისა ან აქციებისა, მათი ფასის მნიშვნელოვანი მერყეობით. XVIII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისში ქაღალდის ფული და აქციები გაჩნდა. შესაძლებელი გახდა მათი მეშვეობით მანიპულირება. ასეთივე სიტუაცია იყო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში. XIX საუკუნის ბოლოს ასეთი ბაზარი ჰქონდა ინგლისს, მოგვიანებით კი – აშშ-ს²⁵.

2) პირამიდის პრინციპით მოქმედი ფინანსური სტრუქტურების საქმიანობაზე საკანონმდებლო შეზღუდვების არარსებობა. ფინანსური პირამიდები, როგორც წესი, კანონიერ საფუძველზე აღმოცენდება. ამასთანავე, გამოცდილების არქონის გამო საკანონმდებლო შეზღუდვები არ მოქმედებს. ამავე დროს, კანონების სრულყოფა ვერ აკრძალავს ფინანსურ თაღლითობას, რადგან არსებითად ის კრძალავს არა ფინანსურ პირამიდას, არამედ გარკვეული ოპერაციების განხორციელებას, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ფინანსური 'საპნის ბუშტების' შექმნისთვის. ამიტომ მათი გაჩენა რთულდება, მაგრამ არ აღიკვეთება. XVIII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისში არ არსებობდა კანონი, რომელიც ფინანსური პირამიდების შექმნისას ყველაზე ხშირად გამოყენებულ სქემებს აკრძალავდა.

3) მოსახლეობის ფულადი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობა (აქციების, ფასიანი ქაღალდების მსყიდველობითი უნარი), ანუ მოსახლეობის კეთილდღეობის გარკვეული დონე. ეს პროცესი ძირითადად მაშინ იწყება, როდესაც კონკრეტულ ქვეყანაში უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა: იზრდება რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მცირდება ინფლაციის ტემპი, ხორციელდება პრივატიზაცია და ა. შ. ამ დროს დანაზოგი ძირითადად შემოაქვთ რიგით ადამიანებს, მათ შორის, პენსიონერებსა და ინვალიდებს. ამიტომ პირამიდების აღმოცენების ალბათობის

²⁴ Eberchi I. 2011. "Rounding Up the Usual Suspects": Exclusion, Selectivity, and Impunity in the Enforcement of International Criminal Justice and the African Union's Emerging Resistance. African Journal of Legal Studies. Martinus Nijhoff Publishers, an imprint of Brill. 1,4. (15-17).

²⁵ Жуков Е. Ф. 2009. Рынок ценных бумаг. Юнити-Дана

შეფასებისას ყურადღება ექცევა დანაზოგების მოტივებს და მოსახლეობის მიერ დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობებს.

4) მოსახლეობის მზადყოფნა, შეიტანოს ფულადი სახსრები ფინანსურ ინსტიტუტებში, მათ შორის, ფინანსურ პირამიდებში. ასეთ თაღლითობას ხელს უწყობს ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების მთელი წყება. ეკონომიკური ფაქტორები მიუთითებს საინვესტიციო პროექტების მსვლელობის შესახებ მოსახლეობის შეზღუდულ ინფორმირებულობაზე, რომლის მიზეზი ისაა, რომ ამ უკანასკნელთა ორგანიზატორები არ იძლევიან სრულ ინფორმაციას. ფსიქოლოგიური ფაქტორები მიუთითებს ადამიანების შეცდომებზე, როგორცაა ოპტიმიზმისადმი მიდრეკილება, საკუთარი შანსების გადაფასება, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულობა. სოციოლოგიური ფაქტორები მიუთითებს საზოგადოებაში კოლექტიური წარმოდგენების დამახინჯებულ ფორმირებაზე²⁶.

ამ ფაქტორების მოქმედების შედეგად ჩნდება რისკების და კეთილდღეობის ინდიკატორების სისტემა და განისაზღვრება ნდობის ღირსი საინფორმაციო წყაროების წრე, რის შედეგადაც ყალიბდება ფინანსური პირამიდის მოქმედების სტრატეგია. ფინანსური პირამიდა შესაძლოა რამდენიმე პატარა პირამიდად იყოფოდეს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუსული კომპანია «MMM», რომლის საქმიანობის შედეგად 10-20 მილიონი მეანაბრე დაზარალდა. თავიდან ბაზარზე ფიქსირდებოდა კომპანიის აქციების მაქსიმალურ ღირებულებამდე ზრდა. კომპანია «MMM»-ისთვის ის 5 თვეს გრძელდებოდა, ხოლო სამხრეთ ზღვების კომპანიისთვის _ 9 წელს, და ა. შ. ბოლოს, ისევე, როგორც სხვა ანალოგიური კომპანიისთვის, მისთვისაც დადგა ფინანსური პირამიდის კრაზის დრო _ აქციების კურსი საწყის ღირებულებაზე დაბლა დაეცა. დაზარალებული აქციონერები მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა (კომპანია-პირამიდის მმართველობის) დასჯის მოთხოვნით შეკრებებსა და მიტინგებს აწყობენ; ხელისუფლება ახორციელებს დაპატიმრებებს, სხვადასხვა სახის შემონგებებს, ხშირად _ კომპანიის ქონების კონფისკაციასაც. ხანდახან ამას მოსდევს აქციონერებისთვის კომპენსაციის გადახდა²⁷.

თითოეულმა კონკრეტულმა მაგალითმა შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულოს ფინანსური პირამიდის აღმოცენებაში. გარდა ამისა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში არსებობს ფაქტორები, რომლებიც იწვევს ფინანსური წარმონაქმნის, მათ შორის, ფინანსური პირამიდის, აღმოცენებას. მაგალითად, 1994-1995 წლებში რუსეთის მოქალაქეები დანაზოგებს ფულის გაუფასურებისგან დაცვის მიზნით აკეთებდნენ. ამიტომ

²⁶ Аникин А. В. 2000. История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко. М. ЗАО Олимп-Бизнес.

²⁷ Радаев В. В. 1998. Возвращение толпы: анализ поведения вкладчиков «финансовых пирамид». Вопросы социологии. Вып. 8. (14-16), Радаев В. В. 2002. Уроки финансовых пирамид, или что может сказать экономическая социология о массовом финансовом поведении. Мир России. т. 11, №2.(39-69).

ისინი ფულს საინვესტიციო მაღალშემოსავლიან ინსტიტუტებში – ფინანსურ პირამიდებში – აბანდებდნენ²⁸.

თაღლითობა ფინანსური პირამიდების აღნიშნულ ეტაპზე ცოტა განსხვავებულად ხორციელდება. ჩვეულებრივ, ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ამონრევა აიძულებს კომპანიას, ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ფასიანი ქაღალდების ემისიას მიმართოს.

მომდევნო პერიოდში კურსი ზრდას განაგრძობდა და 1720 წლის ზაფხულში 900 ფუნტს მიაღწია. ამასთანავე, თანდათანობით გავრცელდა აზრი, რომ აქციებმა მაქსიმალურ დონეს მიაღწია, და კურსიც 640 ფუნტამდე დაეცა. აგვისტოს ბოლოს კურსი ხელოვნურად, კომპანიის აგენტების მიერ აქციების დიდი ოდენობით შესყიდვის შედეგად 1000 ფუნტამდე გაიზარდა. მაგრამ კომპანიის საქმე ცუდად მიდიოდა. შედგა შეთანხმება სამხრეთ ზღვების კომპანიასა და ინგლისის ბანკს შორის. ბანკმა გამოუშვა 3 მილიონი ფუნტის ღირებულების 5-პროცენტიანი ობლიგაციები და სესხის სახით, 1 წლის ვადით გადასცა კომპანიას. თავიდან ეს გამოშვება წარმატებული იყო, მაგრამ ძალიან მალე ობლიგაციებზე ხელმოწერა შეწყდა. შეთანხმებმა აქციების გაყიდვა და ინგლისის ბანკიდან ფულის გამოტანა დაიწყეს²⁹. ამის შედეგად აქციების კურსი 130-135 ფუნტამდე დაეცა. შემდეგ ბანკმა უარი თქვა შეთანხმების მიხედვით ვალდებულებათა შესრულებაზე და კურსმა კიდევ უფრო დაიწია. სამხრეთ ზღვების კომპანიამ კრაზი განიცადა. ინგლისის მრავალ ქალაქში შედგა აქციონერთა კრებები, რომლებიც დამნაშავეთა დასჯას და ფულის დაბრუნებას მოითხოვდნენ. ფულის ნაწილი გადახდილ იქნა: 100- ფუნტიან აქციებში აქციონერებმა 30-30 ფუნტი მიიღეს. სამხრეთ ზღვების კომპანია არ ყოფილა ერთადერთი ფინანსური პირამიდა, რომელიც XVIII საუკუნის ინგლისში მოქმედებდა^{30,31}.

ყველაზე ცნობილი ისტორიული პირამიდებია: ტიტების ციებ-ცხელება – ტიტებით ტოტალური გატაცება (მანია), როდესაც მცენარის ბოლქვები ბირჟის სპეკულაციებისთვის ყველაზე შემოსავლიანი ობიექტი გახდა (XVII ს-ის I ნახევარი, ჰოლანდია); `ჩარლზ პონცის პირამიდა` (XX ს-ის დასაწყისი, აშშ); `საპნის ბუშტები` – 1720 წელს ინგლისში აღმოცენებული კომპანიები, რომლებიც დიდი მოგების იმედით მოსახლეობას აქციების შეძენას სთავაზობდნენ^{32 33}.

²⁸ Кудрин А. Мировой финансовый кризис и его влияние на Россию. <http://institutiones.com/general/1158-mirovoj-finansovyy-krizis.html>

²⁹ Аникин А. В. 2000. История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко. М. ЗАО Олимп-Бизнес. (31-33, 36-46)

³⁰ Маккей Ч. 1998. Наиболее распространенные заблуждения и безумства толпы. М.

³¹ ბასიაშვილი დ. 2005. საშუალო ვადიანი ხარჯების ეფექტურობა - ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება - სამართალი, თბილისი.

³² Александров С., Башкиров В. 2008. Крупнейшие мировые аферы. Искусство обмана и обман как искусство. М

ამჟამად ტრანსნაციონალურ თაღლითობას აქტიურად ებრძვის ინტერპოლი. თაღლითობის სქემა, რომელიც ინტერპოლმა აღკვეთა, ასეთი იყო: კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ეჭვმიტანილები ატყუებდნენ უცხოელ კლიენტებს, კერძოდ, სთავაზობდნენ საქონლის ინტერნეტაუქციონის მეშვეობით შეძენას, ხოლო ფულის მიღებისას დამკვეთს შეკვეთილ ნივთებს აღარ უგზავნიდნენ. თაღლითობის ორგანიზატორებს მხარს უჭერდნენ ერთ-ერთი უკრაინული კომერციული ბანკის თანამშრომლები. ისინი ცრუ პირებზე ხსნიდნენ რამდენიმე მიმდინარე ანგარიშს, რომლებზედაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდა ინტერნეტაუქციონით საქონლის ფიქციური გაყიდვიდან მიღებული სახსრები. საქონლით დაინტერესებული კლიენტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ფულს უცხოური კომპანიების ანგარიშებზე რიცხავდნენ, სინამდვილეში კი ისინი თაღლითობის ორგანიზატორებს ეკუთვნოდათ. შემდეგ თანხები ბანკების ანგარიშებზე ირიცხებოდა. ნაღდი ფული ცრუ პირებს ან თავად ყალბი დოკუმენტების ორგანიზატორებს გამოჰქონდათ. ფინანსური მაქინაციების განხორციელების დროს კონკრეტული ქვეყნის ბანკები არაერთხელ იღებენ მოთხოვნას საზღვარგარეთიდან უკანონოდ მიღებული სახსრების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ორგანიზატორებთან მოლაპარაკებელი ბანკის მოხელეები ხურავენ ანგარიშებს და ფული აღარ ბრუნდება³⁴.

ყველაზე ხშირად ევროპის მოსახლეობა ზარალდება. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა გამოძიების სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ ლონდონში აღირიცხა დაახლოებით 78 000 დაზარალებული, რომელთაც საერთო ჯამში 37,2 მილიონი დოლარი იზარალეს. ნიგერიაში შექმნილია ინტერნეტთაღლითობასთან ბრძოლის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელმაც არაერთი დაკავება განახორციელა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი რეალური დამნაშავეს დაკავება ვერ მოხერხდა³⁵.

ფულადი სახსრებით და საბანკო დოკუმენტებით მანიპულირებისას აფერისტებმა მოქალაქეები თავიანთი ოპერაციების ნამდვილობაში დაარწმუნეს. მაღაზიებმა თაღლითებმა თავიანთ აფიორებში რამდენიმე ადგილობრივი ბანკიც კი ჩართეს.

საბანკო დანესებულების თანამშრომლის სტატუსს ამოფარებული ბოროტმოქმედები მსხვერპლს ატყობინებდნენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში მოცემული მემკვიდრეობის მისაღებად არავის მიუმართავს. ისინი მას არწმუნებდნენ, რომ, ბანკის თანამშრომლის სტატუსის გათვალისწინებით, შეიძლებოდა მისთვის თანხების მისაღებად დახმარების განევა მხოლოდ გვარების დამთხვევის ფაქტის საფუძველზე. მსხვერპლის ნდობის

³³ Выявление мошенничества на рынке финансовых услуг.
http://www.sas.com/offices/europe/russia/whitepapers/fraud_detection.pdf

³⁴ Brown S. 2008. Combating international crime: the longer arm of the law. Routledge - Cavendish is of the Taylor & Francis Group.

³⁵ Klaus von Lampe. 2003. The Use of Models in the Study of Organized Crime. Paper presented at the 2003 conference of the European Consortium for Political Research (ECPR), Marburg, Germany. September.

ბოროტად გამოყენებით, დამნაშავეები ახერხებდნენ დიდი თანხის ხელში ჩაგდებას, რომელიც დიდი ბრიტანეთის საბანკო დანესებულებებში ირიცხებოდა³⁶.

დღევანდელ მსოფლიოში ამ უკანონო ოპერაციაში ჩართული არიან სხვადასხვა ქვეყნის შემსრულებლები. თაღლითობის შემუშავებული სქემა ხორციელდება აქციების ფასის გაზრდაზე რეკომენდაციის გაცემის გზით, რომელიც ეფუძნება ცრუ განცხადებებს ფასის ზრდის შესახებ. ამ მიზნით საგანგებოდ იქმნება ფასების ზრდის გარემო. ამ სქემის მსხვერპლნი კარგავენ ინვესტიციებს, რადგან აჟიოტაჟის შემდეგ აქციებზე ფასი ეცემა და პროცესი მასობრივი გაკოტრებით მთავრდება.

თანამედროვე მსოფლიოში თაღლითობა ხშირად ინტერნეტით ხორციელდება. მისი მეშვეობით უფრო ადვილია მონაცემებით მანიპულირება. კრიმინალურ სქემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რეკლამა, რომელიც ყალბი ინფორმაციის გზით სტიმულს აძლევს თაღლითური ოპერაციების განხორციელებას.

ზოგიერთი კომპანია უხდის კიდევ ასეთი საინფორმაციო წერილების ავტორებს მათი კომპანიების შესახებ დადებითი რეკლამისთვის. თუმცა ასეთი მოქმედება არ არის კანონსაწინააღმდეგო, ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური კანონმდებლობა სპონსორებისა და ავტორთა ჰონორარების განცხადებას მოითხოვს.

რა თქმა უნდა, თაღლითები არ ამუღავნებენ ასეთ ინფორმაციას, აცხადებენ საკუთარი დამოუკიდებლობისა და მოუსყიდველობის შესახებ, მიუთითებენ აქციების არჩევანზე, როგორც საბაზრო კვლევების შედეგზე, სინამდვილეში კი ამჟამად, რომ დამოუკიდებელი კონსულტანტები კარგ ფულს მიიღებენ, თუ ინვესტორები იყიდიან ან გაყიდიან დამკვეთის მიერ მითითებულ ფასიან ქაღალდებს³⁷.

განცხადებების ონლაინდაფა (ბულლეტინ ბოარდს) – ქსელური კონფერენციები თუ სამომხმარებლო ქსელები (განცხადებების ელექტრონული დაფების სისტემები) – ინვესტორებისთვის ინფორმაციის გაცვლის პოპულარული მეთოდია. თაღლითები ხშირად იყენებენ ამ მექანიზმს ინვესტორების განწყობით მანიპულირებისათვის, რადგან ამ უკანასკნელთათვის რთულია ინფორმაციის წყაროს და მისი სანდოობის შემოწმება. მიუკერძოებელი საბაზრო მიმომხილველის როლში შესაძლოა გამოვიდეს დაინტერესებული პირი, იქნება ეს მსხვილი აქციონერი, კომპანიის მმართველი თუ მოსყიდული პრომოუტერი. ერთ ადამიანსაც კი მარტივად შეუძლია შექმნას საყოველთაო ინტერესის ილუზია შეტყობინებათა სხვადასხვა სახელით დაგზავნის გზით³⁸.

³⁶ Fisher J. 2010. Fraud and corruption is costing Britain £30 billion a year. The Times. March 11.

³⁷ Инвестиционные схемы. http://onbusiness.ucoz.ru/load/interesnaja_informacija_vidy_moshennichestva/investicionnye_skhemy/45-1-0-460

³⁸ Huong Ha, Coghill K. 2008. Online shoppers in Australia: dealing with problems. International Journal of Consumer Studies. Wiley-BlackeWell. January 1, 32. (5-17)

ელექტრონული ფოსტით სპამის დაგზავნა (ე-მაილ სპამ) ასევე საერთაშორისო თაღლითობის მეთოდია. ასეთ შეტყობინებათა დაგზავნა საკმაოდ იაფი და მარტივი საშუალებაა, რის გამოც მას ხშირად იყენებენ თაღლითები. სატელეფონო ზარებისა თუ ჩვეულებრივი საფოსტო გზავნილებისგან განსხვავებით, სპამის დაგზავნა ბოროტმოქმედებს საშუალებას აძლევს, პოტენციური ინვესტორების ფართო წრე მოიცვან³⁹.

სპამერებს შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით შეტყობინებათა მასობრივად დაგზავნის პროგრამის საშუალებით პერსონალური შეტყობინებები ერთდროულად ათასობით და მილიონობით მომხმარებელს გაუგზავნონ. აშშ-ში იყო შემთხვევა, როდესაც აქციების კურსის მანიპულირების მიზნით თაღლითმა გადაიმისამართა გარკვეული კორპორაციის ოფიციალური პირის ელექტრონული შეტყობინება, შეცვალა იგი, ყალბი ინფორმაცია დაამატა და მილიონობით ადამიანს გაუგზავნა.

თაღლითობა შესაძლებელი ხდება ანალიტიკური მიმოხილვის გამოცემის გზით. ანალიტიკოსები არიან საინვესტიციო და საბროკერო კომპანიების, ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც აწარმოებენ საბაზრო კვლევებს, აფასებენ და ირჩევენ ინსტრუმენტებს საინვესტიციო ოპერაციებისთვის.

ანალიტიკოსების უმრავლესობა ეკონომიკის გარკვეული სექტორის ან დარგის ქალაქდებზე მუშაობს და წარმოადგენს რეკომენდაციებს მათ ყიდვაგაყიდვასთან დაკავშირებით. ანალიტიკოსების ანგარიშები მათი კვლევების შედეგებით გავლენას ახდენს აქციების ფასზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი რეკომენდაციები მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული ან ტრადიციული საშუალებებით ვრცელდება. ანალიტიკოსების ძირითადი როლი ბაზრის მუშაობის ეფექტიანობის ზრდაში მდგომარეობს. მათი ამოცანაა ინვესტორებისთვის ფარული ფაქტებისა და კანონზომიერებების გამოვლენა, ეკონომიკის დარგების და ცალკეული კომპანიების განვითარების შეფასება. ამასთანავე, ინვესტორებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის არსებობის შესახებ. ზოგიერთი ანალიტიკოსი მუშაობს კომპანიებზე, რომლებიც არიან ანდერრაიტერები (აქციების ახალი გამოშვებების ხელმომწერები და გამავრცელებლები) ან კორპორაციების აქციონერები, რომელთაც ეს ანალიტიკოსები უთვალთვალებენ. ზოგჯერ თავად ანალიტიკოსები მათ მიერ შესწავლილი კომპანიების აქციონერები არიან (მაგ., აქციების მუშაკთა მიერ შესყიდვის გეგმის (ემპლოყეე სტოკ-პურცჰასე პლან) მეშვეობით).

დამსაქმებელი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ანალიტიკოსის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაზე. გადანყვეტილებების მიღებისას ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და ბრმად არ უნდა ენდონ ანალიტიკოსის

³⁹ Chang J., Chong D. 2010. Psychological influences in e-mail fraud. Journal of Financial Crime. Emerald Group Publishing Limited. 3,17. (337-350).

რეკომენდაციებს. საფონდო დილერების ეროვნული ასოციაციის და ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის წესები ამა თუ იმ ქალაქის ყიდვა-გაყიდვის რეკომენდაციის გაცემისას ანალიტიკოსისგან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს.

მაგალითად, ანალიტიკოსებმა უნდა გაამხილონ, აქვთ თუ არა მათ ან საბროკერო ფირმას, რომელშიც ისინი მუშაობენ, გარკვეული პოზიცია მოცემულ აქციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ უნდა განაცხადონ, არის თუ არა მათი ფირმა მარკეტმეიკერი მოცემული ფასიანი ქალაქის მიხედვით და ჰქონდათ თუ არა მათ მოცემულ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობა ბოლო 3 წლის განმავლობაში. ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანალიტიკური ანგარიშების ქვემოთ, მითითებებში ან წარმოდგენილია წვრილი შრიფტით დოკუმენტების უკანა მხარეს.

ათვრა უბრალო თამასუქებით თაღლითობის გავრცელებული სახეა. უბრალო თამასუქი _ უპირობო სასესხო ვალდებულება _ ერთ-ერთი ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც კომპანიები აუცილებელ სახსრებს იღებენ. ამ აფიორების უმრავლესობას შემდეგი სქემა აქვს: მსესხებელ კომპანიასთან დაკავშირებული თაღლითები არწმუნებენ სიცოცხლის დაზღვევის საკითხებში დამოუკიდებელ აგენტებს, თავიანთ კლიენტებს უბრალო თამასუქები მიჰყიდონ, და მათ მაღალ საკომისიოს ჰპირდებიან.

ხშირად ამ სადაზღვევო აგენტებს არ აქვთ შესაბამისი ლიცენზია ფასიანი ქალაქების გაყიდვაზე და პოტენციური ინვესტორებისთვის თამასუქების შეთავაზებისას თაღლითობის თანამონაწილენი ხდებიან. ინვესტორებს ჰპირდებიან მაღალ გარანტირებულ შემოსავალს უმნიშვნელო რისკის თანხლებით, თანაც არწმუნებენ, რომ თამასუქებს გარანტად უცხოური სადაზღვევო კომპანია უდგება.

ხანდახან თამასუქების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი პირამიდული სქემის მხარდასაჭერად გამოიყენება: თამასუქების ახალი პარტიის გაყიდვიდან შემოსული ფული წინა კრედიტორების პროცენტების დაფარვას ხმარდება. ზოგჯერ თამასუქის გადახდის დღეს ინვესტორებს სესხის ძირითად თანხას არ უბრუნებენ და არწმუნებენ, კრედიტი ახალი თამასუქების შეძენის ხარჯზე გააგრძელონ. ამ სქემით ინვესტორები გარკვეული დროის განმავლობაში მართლაც მიიღებენ დაპირებულ პროცენტებს, მაგრამ ძირითადი თანხის დაბრუნების ალბათობა ნულის ტოლია.

ხშირად ასეთი აფიორები ორიენტირებულია ხანში შესულ ადამიანებზე, რომელთაც თავიანთი დანაზოგების დაკარგვის ეშინიათ და ეხმაურებიან ინვესტორთა წინადადებებს უმნიშვნელო რისკის თანხლებით გარანტირებული შემოსავლის მიღების შესახებ.

ჩვეულებრივ, ნამდვილ კორპორაციულ თამასუქებს ფართო საზოგადოებას კი არ სთავაზობენ, არამედ მათ ავრცელებენ გამოცდილი ინვესტორების შეზღუდულ წრეში,

რომელთაც თავად შეუძლიათ შეისწავლონ მსესხებელი კომპანიის საქმიანობა. ამიტომ ასეთი ინტერნეტშეთავაზებები არასდროს არ არის სანდო.

ამგვარი შეთავაზების შესამოწმებლად დაპირებული შემოსავალი უნდა შეუდარდეს ფიქსირებული შემოსავლის მქონე ანალოგიური ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო განაკვეთებს, მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების ან სადეპოზიტო სერტიფიკატების შემოსავლიანობას, რომლებიც დაზღვეულია დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის (FDIC) მიერ. თუ შეთავაზებული თამასუქების შემოსავლიანობა გაცილებით აღემატება ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისას, მაშინ აშკარაა, რომ საქმე თაღლითობასთან გვაქვს.

პირადი ინფორმაციის მოპარვა აგრეთვე თაღლითური ოპერაციაა. ეს დანაშაული მდგომარეობს მფლობელის გაუფრთხილებლად პირადი ინფორმაციის უკანონო მითვისებაში. ამ დროს:

1) დამნაშავეები ხსნიან ანგარიშს და აფორმებენ ახალ საკრედიტო ბარათს მოპარული პირადი მონაცემების (სახელი, დაბადების თარიღი, სოციალური დაზღვევის ნომერი) გამოყენებით. ამის შედეგად ბოროტმოქმედთა დაუფარავი ანგარიშები თქვენი საკრედიტო ბარათის ანგარიშში აისახება. თაღლითები თქვენი სახელით ურეკავენ თქვენი საკრედიტო ბარათის ემიტენტს, ცვლიან საფოსტო მისამართს თქვენი ანგარიშის მიხედვით, შემდეგ კი იწყებენ თქვენი ფულის აქტიურად ხარჯვას, მაგრამ, რადგან ანგარიშები ახალ მისამართზე იგზავნება, პრობლემის დასაწყისშივე აღმოჩენა რთულია⁴⁰.

2) დამნაშავეები თქვენს სახელზე ხსნიან საბანკო ანგარიშს და იწყებენ ამ ანგარიშზე ჩეკების გამოწერას. ხანდახან თაღლითები უთითებენ სხვის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშს, როგორც მობილური კავშირით მომსახურების გადამხდელის ანგარიშს. ამიტომ, როდესაც თქვენ ელექტრონული ფოსტით გარკვეული ინტერნეტპროვაიდერისგან ან ინფორმაციის მომწოდებლისგან იღებთ წერილს მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის მიზნით საკრედიტო ბარათის ინფორმაციის განახლების ან მისი მონაცემების ხელახლა შეყვანის შესახებ, თაღლითობის დიდი ალბათობა არსებობს. გარკვეულ საინვესტიციო ინტერნეტგვერდებზე პირად ფინანსურ ინფორმაციას აკრედიტებული ინვესტორის სტატუსის შესამოწმებლად ითხოვენ. სახელის და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შემოსავლის დონე, ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, სოციალური დაზღვევის ნომერი და სხვა პირადი მონაცემები. ხანდახან ხრიკის

⁴⁰ Карпович О. Г. 2011. Актуальные уголовно-правовые проблемы борьбы с финансовым мошенничеством. Юнити-Дана

სახით იყენებენ განმარტებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია უცილებელია პოტენციურ ინვესტორთა პრიორიტეტული სიის («ლედ ლისტ») შესადგენად⁴¹.

საკმაოდ საშიშია კოლექტიური მოტყუება. იგულისხმება თაღლითობა საერთო იტერესებით გაერთიანებული ადამიანების მიმართ. ხშირად დამნაშავეები მომავალ მსხვერპლთა ნდობის მოსაპოვებლად მათი რელიგიური, ეთნიკური, ასაკობრივი, პროფესიული ან სხვაგვარი ერთობით სარგებლობენ. თაღლითობის ორგანიზატორები ხშირად თავად არიან ერთობის წევრები ან თავს მიაკუთვნებენ მათ. კოლექტიური მოტყუება განსაკუთრებით რთული გამოსავლენია ასეთი ჯგუფების უმეტესობის მჭიდრო კავშირების და ჩაკეტილობის გათვალისწინებით. ხშირად ასეთი აფიორის მსხვერპლი არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს და თავად ცდილობს პრობლემის მოგვარებას.

თაღლითობის პროცესში ასევე იყენებენ სადეპოზიტო სერტიფიკატებს. ეს ინსტრუმენტები არის ფასიანი ქაღალდები წარმდგენზე, რომლებიც ადასტურებს ბანკში ვადიანი დეპოზიტის არსებობას. მათი დაფარვის ვადა 3 თვიდან 5 წლამდე მერყეობს. თაღლითები ყოდიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა დაფარვის ვადა 10-20 წლის შემდეგ დგება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია, რომ, თუ ინვესტორს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე აღრე დაფარვა სურს, მას აღგება მნიშვნელოვანი ზარალი, რომელიც სანცისი თანხის 25%-ს აღწევს. ამასთანავე, სერტიფიკატების გამყიდველები არ ამჟღავნებენ რისკების შესახებ მთელ ინფორმაციას და წინასწარ არ აფრთხილებენ სერტიფიკატების ვადამდელი დაფარვის შეზღუდვებზე⁴².

თაღლითობა ასევე ხორციელდება სიცოცხლის დაზღვევის პოლისების შექმნისას. აშშ-ში არსებობს პრაქტიკა მძიმე ავადმყოფებისგან სიცოცხლის დაზღვევის პოლისის ყიდვისა მისი ნომინალური ღირებულების გარკვეულ პროცენტად, მათი წამლების და სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მიზნით. დაზღვეული პირის გარდაცვალების შემდეგ პოლისის მფლობელი, ბენეფიციარი, იღებს `გარდაცვალების შემწეობას(დეატჰ ბენეფიტ) – სადაზღვევო თანხას. ამგვარად, დაზღვეული პირი იღებს თანხის ნაწილს, ხოლო ინვესტორი უფლებამოსილია ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. ამიტომ ასეთ ინვესტიციებს სპეკულაციური ხასიათი აქვს⁴³.

და ბოლოს, შევხვით საინვესტიციო სემინარებს. ხშირად მასობრივი ინფორმაციის ტრადიციულ და ელექტრონულ საშუალებებში შეიძლება შევხვდეთ სემინარების რეკლამას, რომელთა ორგანიზატორები მონაწილეებს ერთმანეთისთვის სწრაფი გამდიდრების საიდუმლოებების განდობას სთავაზობენ. ასეთი სემინარების

⁴¹ Дж. Уэлс. 2011. Корпоративные мошенничества. Уроки негативной стороны бизнеса (Fraud Casebook: Lessons from the Bad Side of Business). Маросейка.

⁴² Pedneault S. 2010. Anatomy of a Fraud Investigation. John Wiley & Sons, Inc.

⁴³ Derrig R. 2002. Insurance Fraud. Journal of Risk & Insurance. Wiley-Blackwell, September 3,69

ორგანიზატორები მიმნდობ მონაწილეებზე კარგ ფულს აკეთებენ შესვლის საფასურის გამორთმევით და წიგნებისა და აუდიოკასეტების გაყიდვით.

ოფშორული ინვესტიციები ისევე სანდოა, როგორც შიგა, ისეთივე რისკისა და მოგების ფაქტორებით. ისინი უზრუნველყოფენ ნებისმიერი საინვესტიციო სტრატეგიის დამატებით ღირებულებას, ვინაიდან ინვესტიციები – ეს არის დივერსიფიკაციის მაღალი დონე, საკუთარ ქვეყანაში არარსებული მოქნილი საინვესტიციო მექანიზმები და არსებითი ეკონომიის პერსპექტივა გადასახადებით დაბეგვრისა⁴⁴.

სწორედ ეს თავისებურებები გამოიყენება ოფშორული თაღლითობისთვის. ეს აფერა საშუალებას აძლევს კომპანიებს, უცხოელ ინვესტორებს აქციები რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე მიჰყიდონ. ამგვარად, კომპანიას შეუძლია დიდი ფასდაკლებით მიჰყიდოს არარეგისტრირებული აქციები უცხოელი ინვესტორების სახით მოქმედ თაღლითებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ გაზრდილ ფასად მიჰყიდიან ამერიკელ ინვესტორებს. მოგებას კონკრეტული ქვეყნის კომპანია და უცხოელი ინვესტორი იყოფენ. ლოდესაც არარეგისტრირებული აქციები ხელახლა აშშ-ში იყიდება, მათი ფასი ეცემა და მიმნდობი ამერიკელი ინვესტორები ფულს კარგავენ.

ოფშორული საინვესტიციო აფიორა დიდი მოგების მიღების საშუალებას იძლევა. როდესაც ფული სხვა ქვეყანაში იგზავნება, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი კონტროლი და, შესაბამისად, მას არ იცავს წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობა. ამ მხრივ საინტერესოა აფიორები ნავთობთან და გაზთან დაკავშირებით, რომელთა ფასების მერყეობამ თაღლითობის მასობრივი შემთხვევები გამოიწვია. ფულის არარსებულ ნავთობისა და გაზის კომპანიებში დაბანდებით ადამიანებმა დიდი თანხები დაკარგეს.

თაღლითები ინვესტორებს ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის მეშვეობით აწვდიან ყალბ შეტყობინებებს ნავთობის მომპოვებელ კომანდიტურ ამხანაგობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. ამ დროს ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით ფალსიფიცირებული სარეკლამო მასალები გამოიყენება⁴⁵.

9. საქართველოსა და გერმანიაში ყველაზე გავრცელებული თაღლითობის შემთხვევები. კომპიუტერული თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის § 263a)

საქართველოში ბოლო პერიოდში ყველაზე გახშირებულ ფინანსურ დანაშაულს სწორედ ინტერნეტ სივრცეში ჩადენილი თაღლითობები წარმოადგენს. ინტერნეტ სივრცის გამოყენება იმგვარად, რომ პირი შეიყვანო შეცდომაში და ამით მიიღო

⁴⁴ Cornez A. 2000. Offshore Money Book, the: How to Move Assets Offshore for Privacy, Protection, and Tax Advantage. Contemporary Publishing Group.

⁴⁵ Nolan E., Crouch S. 2008. Offshore Investments that Safeguard Your Cash: Learn How Savvy Investors Grow and Protect Their Wealth. McG.-H.

სარგებელი, დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა დღეის მდგომარეობით.

სშირად გავგიგონია ალბათ კომპიუტერის მეშვეობით მოტყუებით სხვისგან თანხის მიღების შემთხვევები, აღნიშნული ქმედება კვეთავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კომპიუტერულ დანაშაულსაც, ვინაიდან გამოყენებული შეიძლება იქნას სხვისი პერსონალური მონაცემებიც, თუმცა თუ მხოლოდ დამდგარ შედეგზე ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა განვმარტოთ ამ ქმედების შემადგენლობის მსგავსება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლთან - ჩვეულებრივ თაღლითობასთან, რაც ასევე გახშირებულია ევროპის ქვეყნებშიც.

გერმანიის სსკ-ის §263a ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მეორე კანონის 15.5.198615 (2. WiKG) საფუძველზე იქნა მიღებული, რათა შეესაბამებოდა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის არსებული ხარვეზები. თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის § 263) არ მოიცავს მონაცემთა დამუშავების პროცესში განხორციელებულ ქმედებებს, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე არ არის ადამიანის მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მისი ქონების განკარგვა.⁴⁶ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ 2003 წლის 22 დეკემბრის⁴⁷ 35-ე კანონით 2003 წლის 28 დეკემბერს თაღლითობისა და უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებთან დაკავშირებული⁴⁸ გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის N:2001/413/JI ჩარჩო გადანყვეტილების იმპლემენტაციისათვის მე-3 და მე-4 აბზაცები იქნა შემოღებული, რათა თავად მოსამზადებელი ქმედებებიც დასჯადი გამხდარიყო.⁴⁹ ა) დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა (გერმანიის სსკ-ის § 263a-ის პირველი აბზაცი) თაღლითობის მსგავსადაა შექმნილი და გაბატონებული შეხედულების თანახმად,⁵⁰ მასთან მჭიდრო კავშირში უნდა განიმარტოს (ე. წ. თაღლითობისათვის დამახასიათებელი განმარტება). იგი შეიცავს დანაშაულის ოთხ ალტერნატივას. 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც საკუთარი თავისათვის ან მესამე პირისათვის მართლსაწინააღმდეგო გზით ქონებრივი სარგებლის მიღების განზრახვით, სხვა პირის ქონებას იმით აზიანებს, რომ მონაცემთა დამუშავებით მიღებულ შედეგს მოიპოვებს: 1. პროგრამის არასწორად აწყობის საფუძველზე (1.ალტერნატივა, პროგრამული მანიპულაცია), 2. არასწორი ან არასრულყოფილი მონაცემების გამოყენების საფუძველზე (2. ალტერნატივა, მინოდების მანიპულაცია), მონაცემების

⁴⁶ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/318, 18; Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/5058, 20.

⁴⁷ Bundesgesetzblatt (BGBl) I, 2838.

⁴⁸ Amtsblatt (ABl.) L 149, 1; იხ. ასევე Waßmer, Martin Paul, in Pötz/Grützner/Kreß, Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen, 3. Aufl. 2012, III C 4.9

⁴⁹ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720, 10.

⁵⁰ 0 Sammlung der Entscheidungen des BGH in Strafsachen (BGHSt) 38, 120, 124; 47, 160, 162 s.; Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 37 ff. m. w. N.

არავტორიზებული გამოყენებით (3. ალტერნატივა, მონაცემთა ბოროტად გამოყენება) ან არასანქცირებული ზეგავლენით პროგრამის მოქმედების პროცესში (4. ალტერნატივა ე. წ. მონაცემთა შეგროვების შემადგენლობა). თაღლითობაზე (გერმანიის სსკ-ის § 263a მეორე აბზაცი) მითითებიდან გამომდინარე, დასჯადია არამხოლოდ დანაშაულის ჩადენის მცდელობა, არამედ გერმანიის სსკ-ის § 263 მესამე აბზაცის შესაბამისად, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებზე გვაქვს სახეზე, რომელთა მიმართაც გაზრდილი სასჯელია გათვალისწინებული, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 10 წლამდე. გარდა ამისა, ჯგუფურად და პროფესიული საქმიანობის გამოყენების გზით დანაშაულის ჩადენისას გამოიყენება გერმანიის სსკ-ის § 263 მე-5 აბზაცი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან 10 წლამდე და, შესაბამისად, დანაშაულს წარმოადგენს. კიბერდანაშაულისათვის გერმანიის სსკ-ის §263a განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში დომინირებს მოპარული ან გაყალბებული საბანკო და საკრედიტო ბარათების არასანქცირებული გამოყენება ბანკომატებთან ან სალაროებთან.⁵¹ ამასთან, საქმე ეხება შემთხვევებს, რომლის დროსაც დამნაშავე წვდომის მონაცემებს (მომხმარებლის დასახელებას, პინკოდს, ტრანზაქციის ავტორიზაციის ნომერს) ე. წ. „Phishing“-ის მეშვეობით (Mail/SMS/Instant Message-ის გამოყენებით) ან ე. წ. „Pharming“-ის მეშვეობით (გაყალბებულ გვერდებზე გადამისამართებით) მოიპოვებს და შემდეგ მას „ინტერნეტ ბანკინგში“ იყენებს.⁵² აგრეთვე, საქმე ეხება „სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბოროტად გამოყენებას“, განსაკუთრებით ე. წ. „Phreaking-ს“, რომლის დროსაც სატელეფონო ან/ და მონაცემთა ბაზები უცხო შემაერთებლის ხარჯზე მოქმედებს, ასევე ე. წ. „პირატული ბარათების“ გამოყენებას ე. წ. Pay-TV გადაცემების დეკოდირებისათვის და კოდირებული უკაბელო ინტერნეტის არავტორიზებულ გამოყენებას.⁵³ ბ) გერმანიის სსკ-ის § 263a მე-3 აბზაცი დანაშაულის მომზადებისათვის განხორციელებულ ქმედებებს დასჯადად მიიჩნევს. 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება ის, ვინც დაამზადებს, თავისთვის ან სხვისთვის მოიპოვებს, თავისუფლად განათავსებს, შეინახავს ან სხვას გადასცემს კომპიუტერულ პროგრამებს, რომელთა მიზანიც გერმანიის სსკ-ის § 263a პირველი აბზაცის შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაა. გერმანიის სსკ-ის § 263a მე-4 აბზაცი ადრეულ ეტაპზე დამთავრების გამო გერმანიის სსკ-ის § 149 მე-2 და მე-3 აბზაცებით გათვალისწინებული ქმედითი მონაწილების შესახებ ნორმების სათანადო გამოყენებას ითვალისწინებს. კანონის დასაბუთების თანახმად პროგრამა არ უნდა იყოს

⁵¹ 1 Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 4 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>)

⁵² Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 54 m. w. N.

⁵³ Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 56 f. m. w. N

განსაზღვრული მხოლოდ კომპიუტერული თაღლითობის ჩასადენად.⁵⁴ ეს მიდგომა პრობლემურია, რადგან ბევრი პროგრამა შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური მიზნებით (ე. წ. Dual-Use-Tools). ამიტომ შეზღუდულად მოითხოვება, რომ პროგრამა „ძირითადად“⁵⁵ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენას ემსახურებოდეს ან აღნიშნული მის „არსებით“⁵⁶ მიზანს წარმოადგენდეს. გერმანიის სსკ-ის § 202c-თან დაკავშირებულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში⁵⁷ შეზღუდულად მოითხოვება, რომ პროგრამა სუბიექტურად იმ მიზნით უნდა იყოს შექმნილი ან მოდიფიცირებული, რომ გამოყენებულ იქნას სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ჩადენისას და ეს განზრახვა ობიექტურად უნდა იყოს გაცხადებული (მაგალითად, ინტერნეტში რეკლამის მეშვეობით).⁵⁸

დასკვნა

საბოლოოდ, ნაშრომში ვისაუბრეთ თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გახშირებულ პრაქტიკულ პრობლემაზე - სწორად შევაფასოთ ქმედების მართლწინააღმდეგობა, სამართლებრივი ბუნების ხასიათი და შესაფერისი პასუხისმგებლობის ზომა, სახე.

ყველაზე ვრცლად ვისაუბრეთ სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი ქმედების გამიჯვნაზე. ნაშრომის გაცნობის შემდეგ მკითხველი შეძლებს ერთმანეთისგან განასხვავოს მსგავსი წინაპირობების მქონე სისხლის სამართლის დანაშაული თაღლითობა და აღნიშნულით დამდგარი პასუხისმგებლობის სახე სამოქალაქო სამართლებრივი საცილოდ ბათილი გარიგებების - შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებებისა და აღნიშნულის შედეგად გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

ნაშრომში ასევე გამოიკვეთა, რომ ყველაზე დიდი მსგავსება მაინც იკვეთება მოტყუებით დადებულ გარიგებასა და ტიპურ თაღლითობას შორის. აღნიშნულ შემთხვევებზე ასევე სახელმძღვანელოდ მოყვანილია ნაშრომში რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი. გამოიკვეთა მოტყუებით დადებული გარიგებისა და თაღლითობის მსგავსი ელემენტი - სარგებლის მისაღებად წინასწარგანზრახულად მეორე მხარის მოტყუება. თუმცა, ამავე დროს ნაშრომში დაფიქსირებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოტყუებით დადებულ გარიგებასა და თაღლითობის გამიჯვნისათვის უპირატესია

⁵⁴ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720, 11.

⁵⁵ Heger, Martin, in: Lackner/Kühl (Hrsg.), StGB, 28. Aufl. 2014, § 263a Rn. 26b.

⁵⁶ Fischer, Thomas, StGB, 64. Aufl. 2017, Rn. 31

⁵⁷ Bundesverfassungsgericht – Computer und Recht 2009, 673.

⁵⁸ Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 107 m. w. N.

დავადგინოთ ქმედების მართლსაწინააღმდეგობა. ამ მართლსაწინააღმდეგობის ხასიათის სიმძაფრე, ზიანის მნიშვნელობა.

მიმაჩნია, რომ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრისთვის იურისტებს ხშირად დაგვეხმარება ნაშრომში განვითარებული მსჯელობა, რათა თავიდან ავირიდოთ ისეთი პროფესიული შეცდომები, როგორცაა სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაკლის გამო პირის მიმართ თაღლითობის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრა.

ნაშრომი მკითხველს ასევე დაანახებს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსხვავების მნიშვნელობის სიმძაფრეს, რაც კიდევ უფრო გამოკვეთავს წინამდებარე პრაქტიკული პრობლემის არსებითობას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702;>
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
[https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 ;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426;)
3. სურგულაძე ნ, რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს ინსტიტუციები წ III ტ III. თბილისი, 2002;
4. სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ, “სახელმწიფო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელის კონკურენცია” ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2011;
5. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისის 1999;
6. სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ „სახელმწიფო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, ურნალი „ მართლმსაჯულება და კანონი“;
7. ძლიერიშვილი ზ, ცერცვაძე გ, რობაქიძე ი, სვანაძე გ, ცერცვაძე ლ, ჯანაშია ლ, სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014;
8. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009;
9. გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება) გიორგი გ. თუმანიშვილი;
10. სამეცნიერო ურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეექვსე ნომერი ე. თბილისი, დეკემბერი, 2016 წ. ISSN 1512-4525 „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა;
11. ბასიაშვილი დ. 2005. საშუალო ვადიანი ხარჯების ეფექტურობა - ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება - სამართალი. თბილისი;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება №ას-33-406-05 , 13 აპრილი, 2005 წელი;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება ;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №625აპ-17 განჩინება;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის №493აპ-18 განჩინება;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება ;
17. http://www.napoleonseries.org/research/government/c_code.html?fbclid=IwAR3p8TQ_CUAX9_4OIwAWLeI9Uoz6acPsc_foH4GWgmTDDUVx5JoItxOt8OnI. French Civil Code.

BOOK III. Of The Different Modes Of Acquiring Property. CHAPTER II. Of Crimes and Quasi-crimes;

18. <http://www.russian-civil-code.com/PartII/SectionIV/Subsection1/Chapter59.html>
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2015);
19. Eberechi I. 2011. "Rounding Up the Usual Suspects": Exclusion, Selectivity, and Impunity in the Enforcement of International Criminal Justice and the African Union's Emerging Resistance. African Journal of Legal Studies. Martinus Nijhoff Publishers, an imprint of Brill;
20. Жуков Е. Ф. 2009. Рынок ценных бумаг. Юнити-Дана;
21. Аникин А. В. 2000. История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея;
22. Кириенко. М. ЗАО Олимп-Бизнес;
23. Радаев В. В. 1998. Возвращение толпы: анализ поведения вкладчиков «финансовых пирамид». Вопросы социологии. Вып. 8;
24. Радаев В. В. 2002. Уроки финансовых пирамид, или что может сказать экономическая социология о массовом финансовом поведении. Мир России. т. 11.. №2;
25. Кудрин А. Мировой финансовый кризис и его влияние на Россию.
<http://institutions.com/general/1158-mirovoj-finansovyj-krizis.html>;
26. Carlos A., Neal L., Wandschneider K. 2007. Dissecting the Anatomy of Exchange Alley: The Dealings of Stockjobbers during and after the South Sea Bubble. Cambridge University. January 12;
27. Аникин А. В. 2000. История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко. М. ЗАО Олимп-Бизнес;
28. Маккей Ч. 1998. Наиболее распространенные заблуждения и безумства толпы. М;
29. Murphy A. 1997. The Rise and Rise of the Mississippi Company, 1719 - John law: Economic Theorist and Policy-maker. Oxford Scholarship Online Monographs. June (188-213);
30. Law J., Cantillon R. 1989. The First Mississippi Fortune - Phase One - Richard Cantillon: Entrepreneur and Economist. Oxford Scholarship Online Monographs. January (65-88);
31. Gray P., Frieder L., Clark G. 2007. Financial Bubbles and Business Scandals in History. Internationals Journal of Public Administration. Roulledge, part of The Taylor & Francis Group. July 8-9, 30;
32. La Verne M. Peter Standish. 2008. Culture and customs of Panama. Greenwood Publishing Group;
33. Аникин А. В. 2000. История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко. М. ЗАО Олимп-Бизнес;

34. Александров С., Башкиров В. 2008. Крупнейшие мировые аферы. Искусство обмана и обман как искусство. М;
35. Выявление мошенничества на рынке финансовых услуг. http://www.sas.com/offices/europe/russia/whitepapers/fraud_detection.pdf;
36. Brown S. 2008. Combating international crime: the longer arm of the law. Routledge - Cavendish is of the Taylor & Francis Group;
37. Klaus von Lampe. 2003. The Use of Models in the Study of Organized Crime. Paper presented at the 2003 conference of the European Consortium for Political Research (ECPR), Marburg, Germany. September;
38. Fisher J. 2010. Fraud and corruption is costing Britain £30 billion a year. The Times. March 11;
39. Hemraj M. 2003. The detection of financial irregularities in US corporations. Journal of Financial Crime. Emerald Group Publishing Limited. 1,10 ;
40. Ilter C. 2009. Fraudulent money transfers: a case from Turkey. Journal of Financial Crime. Emerald Group Publishing Limited. 2,16;
41. OCDE. 2009. Tackling Inequalities in Brazil, China, India and South Africa. OCDE Questions sociales/Migrations/Sante. OCDE. 15,2009;
42. Davis L., Wilson L. 2011. Estimating JP Morgan Chase's Profits from the Madoff Deposits Risk management & Insurance Review. Wiley- Blackwell;
43. Инвестиционные схемы. http://onbusiness.ucoz.ru/load/interesnaja_informacija/vidy_moshennichestva/investicionnye_skhemy/45-1-0-460;
44. Huong Ha, Coghill K. 2008. Online shoppers in Australia: dealing with problems. International Journal of Consumer Studies. Wiley-BlackeWell. January 1, 32;
45. Chang J., Chong D. 2010. Psychological influences in e-mail fraud. Journal of Financial Crime. Emerald Group Publishing Limited;
46. Карпович О. Г. 2011. Актуальные уголовно-правовые проблемы борьбы с финансовым мошенничеством. Юнити-Дана;
47. Дж. Уэллс. 2011. Корпоративные мошенничества. Уроки негативной стороны бизнеса (Fraud Casebook: Lessons from the Bad Side of Business). Маросейка;
48. Pedneault S. 2010. Anatomy of a Fraud Investigation. John Wiley & Sons, Inc;
49. Derrig R. 2002. Insurance Fraud. Journal of Risk & Insurance. Wiley-Blackwell, September 3,69;
50. Cornez A. 2000. Offshore Money Book, the: How to Move Assets Offshore for Privacy, Protection, and Tax Advantage. Contemporary Publishing Group;
51. Nolan E., Crouch S. 2008. Offshore Investments that Safeguard Your Cash: Learn How Savvy Investors Grow and Protect Their Wealth. McG.-H;

52. Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/318, 18; Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/5058, 20;
53. Bundesgesetzblatt (BGBl) I, 2838;
54. Amtsblatt (ABl.) L 149, 1; იბ. ასევე Waßmer, Martin Paul, in Pötz/Grützner/Kreß, Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen, 3. Aufl. 2012;
55. Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720;
56. 0 Sammlung der Entscheidungen des BGH in Strafsachen (BGHSt) 38, 120, 124; 47, 160, 162 s.; Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017;
57. 1 Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 4 (სელმისანვლომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>);
58. Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017;
59. Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720;
60. Heger, Martin, in: Lackner/Kühl (Hrsg.), StGB, 28. Aufl. 2014;
61. Fischer, Thomas, StGB, 64. Aufl. 2017;
62. Bundesverfassungsgericht – Computer und Recht 2009;